

## თავი XLVIII

( ძალადაკარგულია - 2018 წლის 15 სექტემბრიდან - 18.05.2016 წ. №40/წ )

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/წ - ვებგვერდი, 24.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №27/წ - ვებგვერდი, 15.02.2017წ.

### საგნობრივი პროგრამა მუსიკაში

#### 1. ზოგადი ნაწილი

##### ა) შესავალი

მუსიკა მოსწავლის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. იგი ამდიდრებს მის სულიერ სამყაროს, უყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას სიკეთის, სილამაზის მიმართ. მუსიკა აზიარებს მოსწავლეს ზოგადასაკაცობრიო ღირებულებებს და, ამავდროულად, ხელს უწყობს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას. მუსიკას, ემოციურ ხასიათთან ერთად, შემეცნებითი ფუნქციაც აქვს და მისი შესწავლა ხელს უწყობს არა მარტო ასოციაციური, არამედ ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნების განვითარებასაც. ამასთან, მუსიკა აჩვევს მოსწავლეს გუნდურ მუშაობას, წესრიგს, დისციპლინას. გარდა ამისა, როგორც საკუთარი დამწერლობის მქონე საკომუნიკაციო ენა, მუსიკა მოსწავლეს უქმნის ნებისმიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფართო შესაძლებლობებს.

##### ბ) მუსიკის სწავლების მიზნები და ამოცანები

მუსიკის სწავლების მიზანია:

- მოსწავლის ჩამოყალიბება განათლებულ, კულტურულ ადამიანად, მისთვის მუსიკის სფეროში შესაბამისი ცოდნის მიცემის გზით;
- მოსწავლის მხატვრულ-მუსიკალური აღზრდა ხალხური და კლასიკური მუსიკის ნიმუშების გაცნობის გზით;
- მისი ჩაბმა შემოქმედებით საქმიანობაში და ამისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, ქართული ცეკვის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- მუსიკის მოსმენის ჩვევის ჩამოყალიბება;
- მუსიკალური ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებისა და მუსიკალურ ხელოვნებაზე მსჯელობის უნარის გამომუშავება;
- წარმოსახვით-ასოციაციური აზროვნების განვითარება;
- მუსიკალური სმენისა და მეხსიერების, რიტმის გრძნობის განვითარება;
- მუსიკალური დამწერლობის, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო საშუალების შესწავლა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგანი მოსწავლისთვის ზოგადი და არა პროფესიული ცოდნის მიცემას ითვალისწინებს. ყველა ბავშვს განსხვავებული მუსიკალური მონაცემები აქვს, ამიტომ კურსის სხვადასხვა მიმართულება მოსწავლეს საკუთარი ინტერესების განვითარებისა და წარმოჩენის შესაძლებლობას აძლევს.

მუსიკის ასოციაციური ბუნება ხელს უწყობს საგნის ინტეგრაციას სხვა დისციპლინებთან, მაგალითად, ვიზუალურ, თეატრალურ ხელოვნებასთან, ცეკვასთან, პოეზიასთან, მხატვრულ ლიტერატურასთან, ისტორიასთან, მათემატიკასთან, ინფორმატიკასთან, ფიზიკასთან და ა. შ. რაც სასწავლო პროცესს მიმზიდველობას ანიჭებს.

### გ) მუსიკის სწავლება საფეხურების დახასიათება

მუსიკის სასწავლო გეგმის მიხედვით, მუსიკის სწავლება გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზე: დაწყებით და საბაზო საფეხურზე სავალდებულო, ხოლო საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების სახით.

**დაწყებით საფეხურზე** განსაკუთრებით დიდია მუსიკის საგნის მნიშვნელობა, როდესაც ბავშვის თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარები, მიდრეკილებები მთლიანად არ გამოქვეყნებულა და მათ გახსნა, წარმართვა სჭირდება. ბავშვისთვის ახლობელი სხვადასხვა სახალისო აქტივობით ხდება მისი დაინტერესება მუსიკით. ამ საფეხურზე მუსიკის საგანი ითვალისწინებს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების ამოქმედებას, ერთობლივ შემოქმედებით პროცესებში მათ ჩართვას და მოცემულ საფეხურზე გათვალისწინებული ცოდნის მიცემას.

**საბაზო საფეხურზე** მუსიკის გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოზარდს საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების პროცესს უადვილებს. იგი საუკეთესო საშუალებაა მოზარდის განვითარებისა და ინტერესების სწორად წარსამართავად და მნიშვნელოვნად შეარბილებს იმ კრიტიკულ დამოკიდებულებას გარემოს მიმართ, რომელიც ნიშანდობლივია ამ ასაკისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელოვნების ნაწარმოების გაგების უნარი განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმართ შემწყნარებლობასაც გულისხმობს.

**საშუალო საფეხურზე** მოსწავლეს საშუალება ეძლევა საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს ერთ-ერთი შეთავაზებული კურსი.

### მუსიკის სასწავლო კურსის შემაჯამებელი შედეგები

#### დაწყებით და საბაზო საფეხურზე

დაწყებით საფეხურზე	საბაზო საფეხურზე
შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე	

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	<p><b>ექსპლედის ბოლოს მოსწავლე:</b></p> <p>იყენებს მუსიკალური ენის ელემენტებს, სხეულის მოძრაობას თვითგამოხატვისთვის;</p> <p>თანამშრომლობს სხვებთან როგორც საკუთარი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად.</p>	<p><b>ცხრაწლედის ბოლოს მოსწავლე:</b></p> <p>შემოქმედებითად იყენებს მუსიკალური და დრამატული ხელოვნების გამომსახველობით ხერხებს თვითგამოხატვისთვის;</p> <p>ჩართულია ინდივიდუალურ და სხვადასხვა სახის ჯგუფურ მუშაობაში.</p>
კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	<p>გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს მუსიკალური ნაწარმოების შესახებ;</p> <p>აცნობიერებს, რომ მუსიკა კომუნიკაციისა და თვითგამოხატვის საშუალებაა.</p>	<p>აანალიზებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუშს, განმარტავს, რა მიზნით არის გამოყენებული კონკრეტული გამომსახველობითი ხერხი;</p> <p>აცნობიერებს, რომ ხელოვნება მსოფლმხედველობის გამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებაა.</p>
მუსიკის აღქმა კონტექსტში	<p>განიხილავს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნაწარმოებებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგს და მათ კავშირებს.</p>	<p>ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნაწარმოებებს და მსჯელობს მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე; ერთმანეთს ადარებს და მსჯელობს განსხვავებულ მუსიკალურ სტილზე, მიმდინარეობაზე, შესრულების მანერაზე; მუსიკის როლზე საზოგადოების ცხოვრებაში, იცნობს მუსიკალური ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს.</p>

**დ) მუსიკის საგნის სწავლების ორგანიზება**

მუსიკა, როგორც სავალდებულო საგანი, I-IX კლასებში ისწავლება. მის სწავლებას I- III და V-VII კლასებში ეთმობა 2, ხოლო IV კლასში - 1 აკადემიური საათი. VIII-IX კლასებში მუსიკა თითო სემესტრის მანძილზე ისწავლება 3 საათის განმავლობაში: VIII კლასში - II, ხოლო IX კლასში - I სემესტრში. მოცემული სქემა ასახავს მუსიკის საგნის საათობრივ განაწილებას კლასების მიხედვით:

კლასი	საათების რაოდენობა I სემესტრში	საათების რაოდენობა II სემესტრში
I	2	2

II	2	2
III	2	2
IV	1	1
V	2	2
VI	2	2
VII	2	2
VIII	—	3
IX	3	—

### ე) მუსიკის სწავლების მიმართულებების აღწერა

მუსიკის სწავლება სამი მიმართულებით იშლება:

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
2. კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია;
3. მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში.

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

#### პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ და ჩამოუყალიბდებათ პრაქტიკული ჩვევები, რომლებიც მათი შემოქმედებითი უნარების გახსნასა და ამოქმედებას ემსახურება.

მოსწავლეები გადმოსცემენ მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებების ემოციურ-სახეობრივ შინაარსს, ან თავიანთ გარემოში მიღებულ მუსიკალურ შთაბეჭდილებებს. ამისათვის არჩევენ და იყენებენ გამოხატვის შესაფერის ფორმებს და გამომსახველობით ხერხებს, რომლებსაც მუსიკის გაკვეთილზე გაეცნენ. გარდა ამისა, მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები ეუფლებიან დაგეგმვის, ორგანიზების, ჯგუფური მუშაობის ჩვევებს.

#### კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია

მუსიკა, რომელიც აღიარებულია საკომუნიკაციო ენად, მრავალგვარი და მრავალჯერადი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეჩვევიან მუსიკის მოსმენას, შეფასებას, აზრის ნათლად გამოთქმას, საკუთარი შეხედულების დასაბუთებას კამათის, მსჯელობის დროს შესაფერისი წიგნიერი ენითა და ქცევის ნორმების დაცვით, ეუფლებიან ასევე კოლექტიური მუშაობის მეთოდებს, უვითარდებათ შეფასებისა და თვითშეფასების უნარი. მოსწავლეები ესწრებიან და მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში. სწავლობენ, რომ მუსიკალური/ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის გამოხატავს გარკვეულ იდეას.

## მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას მოსმენილი ნაწარმოებების - ქართული (ხალხური და პროფესიული) და მსოფლიო მუსიკალური კულტურის ცნობილი ნიმუშების შესახებ და აკავშირებენ მათ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან. ეს ინფორმაცია სხვადასხვა ხერხით უკავშირდება ყოველდღიურ მოვლენებს, მოსწავლეების გამოცდილებას. ისინი ეცნობიან ქართული და მსოფლიო მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებს – კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, მუსიკალურ საკრავებს, სხვადასხვა მუსიკალურ კოლექტივს.

### ვ) შეფასება მუსიკაში

შეფასების კომპონენტები

#### საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

ფასდება შემდეგი ცოდნა და უნარები:

- მუსიკალური ხელოვნების ნასწავლი ნიმუშების ცოდნა;
- მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგადი საკითხების ცოდნა;
- მუსიკალური დამწერლობის ცოდნა;
- მუსიკალური ტერმინოლოგიის ცოდნა;
- მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- შემოქმედებითობა;
- იმპროვიზაციულობა;
- მუსიკის მოსმენის ჩვევა;
- მუსიკალური სმენა;
- მუსიკალური მეხსიერება;
- რიტმის გრძნობა;
- წარდგენის (პრეზენტაციის) უნარი;
- სოციალური უნარები;
- საკუთარი აზრის დასაბუთების უნარი;
- ტოლერანტობა.

ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი აქტივობებით:

#### საშინაო დავალებები

- მასალის მოძიება;
- რეფერატის მომზადება;
- რეცენზიის დაწერა;
- ტექსტის (ლიტერატურული და სანოტო) დასწავლა;
- დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით და ა. შ.

#### საკლასო დავალებები

- შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, მუსიკალურ-დრამატულ კომპოზიციები, მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების შექმნა;
- კონცერტის, წარმოდგენის რეპეტიციებში მონაწილეობა;

- პროექტის მომზადება;
- მუსიკის მოსმენა და ამასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
- საკუთარი და სხვისი შესრულების / შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
- მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
- სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
- საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
- სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობის გამოყენება და ა. შ.

### **შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი**

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში უნდა შემოწმდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს მუსიკის **სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებს.**

### **შემაჯამებელ დავალებათა ტიპები:**

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მუსიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

- კონცერტი/ წარმოდგენა;
- ვიქტორინა;
- მოხსენება-რეფერატი;
- ლექცია-კონცერტი;
- პრეზენტაცია;
- ტესტირება;
- გამოცდა;
- პროექტი.

მოსწავლის მიერ შესრულებული პროექტის სავარაუდო თემები:

თემატური წარმოდგენის/კონცერტის გამართვა; ტელეგადაცემის, რადიოგადაცემის, სპექტაკლის მომზადება; გაზეთის, ჟურნალის, სანოტო ალბომის მომზადება; კლიპის გადაღება სიმღერის, მუსიკალური ნაწარმოების ან სხვა თემაზე; სკოლაში ცნობილი კომპოზიტორის, მომღერლის, რეჟისორის მიწვევა, შეხვედრის ორგანიზება და წარმართვა და ა. შ.

### **მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები**

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და

განვლილი მასალის გათვალისწინებით;

- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

### **ნიმუში: მუსიკალური ნაწარმოების გაცნობა თანაკლასელებისთვის**

მომზადეთ პრეზენტაცია და გააცანით თქვენს თანაკლასელებს ინსტრუმენტული კონცერტის ნიმუში. ამისათვის:

1. მოიძიეთ, მოისმინეთ და შეარჩიეთ დასახელებული ჟანრის ის მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც მოგეწონათ;
2. თქვენი მიზანია შერჩეული მუსიკალური ნაწარმოების თანაკლასელებისთვის წარდგენა და მათი დამოკიდებულების გამოწვევა;
3. შეარჩიეთ და გააცანით თანაკლასელებს ის ფრაგმენტები, სადაც ძირითადი თემატური მასალა ჟღერს როგორც სოლო საკრავთან, ასევე ორკესტრის პარტიაში; ასევე ის მონაკვეთები, სადაც მუსიკალური მასალის განვითარება განსაკუთრებით საინტერესოდ გეჩვენებათ;
4. მოიძიეთ ფაქტობრივი მასალა შერჩეული ნაწარმოების შესახებ - ეპოქა, სტილი, კომპოზიტორი, ნაწარმოები (ჟანრი, სტილი, სოლო საკრავი, შემსრულებელთა შემადგენლობა), შემსრულებელი, დირიჟორი, შემსრულებელთა კოლექტივი, დარბაზი (სურვილის მიხედვით);
  - ეცადეთ, ისე გადაანაწილოთ მუსიკალური და ვერბალური მასალა, რომ მოსწავლეების მხრიდან არ განელდეს ინტერესი. საჭიროებისამებრ გამოიყენეთ ვიზუალური მასალაც - ვიდეო ჩანაწერი, ფოტო, სანოტო ტექსტი;
  - პრეზენტაციის დროს, როგორც მოსალოდნელია, შერჩეულ ნაწარმოებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დაწვრილებით ვერ განიხილავთ. ეცადეთ, თქვენს მეგობრებს მოკლედ გააცნოთ ნაწარმოებთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია. პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ მათი ინტერესები, ცოდნა; ყურადღება გაამახვილეთ იმ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს თქვენი მეგობრების მხრიდან ნაწარმოების მიმართ ინტერესის გაღვიძებას და მის უკეთ აღქმას;
  - მოემზადეთ პრეზენტაციის ბოლო ნაწილის - კითხვა-პასუხისათვის. წინასწარ განსაზღვრეთ სავარაუდო კითხვები და ჩამოაყალიბეთ პასუხები. არ მოერიდოთ პარალელების გავლებას. პასუხი, შესაძლებელია, მუსიკალური მასალითაც გასცეთ. აქ გამოვლინდება, რამდენად კარგად ფლობთ მასალას;
  - ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად დაიხმარეთ ასისტენტი.

### **კრიტერიუმები**

1. მასალის ფლობა;
2. კომუნიკაცია;

3. საორგანიზაციო საკითხები;
4. შემოქმედებითობა.

1. მასალის ფლობა (ცოდნა და უნარები) 0-3

- მოთხოვნის ადეკვატური მუსიკალური ნაწარმოების შერჩევა;
- ძირითადი თემატური მასალის (მთავარი და დამხმარე თემები) ამსახველი მუსიკალური ფრაგმენტების შერჩევა;
- მრავალფეროვანი ინფორმაციის წარდგენისას ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის წარმოდგენა;
- კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა.

2. კომუნიკაცია 0-3

- მუსიკალური ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების წარმოჩენა;
- მასალის აუდიტორიისთვის მისაწვდომი სახით წარდგენა და დაინტერესება;
- ინფორმაციის ნათლად, გასაგებად გადმოცემა;
- კითხვებზე პასუხის გაცემისას დაზუსტება.

3. საორგანიზაციო საკითხები 0-1

- ტექნიკური საკითხების მოგვარება.

4. შემოქმედებითობა 0-3

- ნაწარმოებთან დაკავშირებული ინფორმაციიდან გადარჩევა და თანაკლასელებისთვის გაცნობა;
- გამოსვლისას მასალის (აუდიო, ვიზუალური, ვერბალური) მონაცვლეობის დაგეგმვა;
- ნაწარმოების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

## თავი XLIX

**( ძალადაკარგულია - 2018 წლის 15 სექტემბრიდან - 18.05.2016 წ. №40/5 )**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/5 - ვებგვერდი, 24.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №27/5 - ვებგვერდი, 15.02.2017წ.

## საგნობრივი კომპეტენციები დაწყებით საფეხურზე

### I კლასი მუსიკა

#### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით



პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
მუს. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.	მუს. I. 4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ.	მუს. I. 8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.
მუს. I. 2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.	მუს. I. 5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.	მუს. I. 9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს.
მუს. I. 3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.	მუს. I. 6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.	მუს. I. 10. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები.
	მუს. I. 7. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.	

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

**მუს. I. 1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს გარემოში მუსიკალურ და არამუსიკალურ ბგერებს;
- განასხვავებს ხმამაღალ და ხმადაბალ ხმოვანებას;
- აჟღერებს ხმას, ინსტრუმენტს ხმამაღლა და ხმადაბლა, ხანგრძლივად და წყვეტილად, მოკლედ;
- ერთ ტონზე სიმღერით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს, ცვლის ბგერათსიმადლეს;
- განასხვავებს რიტმულ და არარიტმულ კაკუნს;
- ტაშით, კაკუნით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს;
- ტაშით, ფეხის დარტყმით გამოყოფს ტაქტის ძლიერ დროს.

**მუს.I.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიმღერით იმეორებს ზგერებს, მუსიკალურ ფრაზებს;
- ტაშით, სიმღერით აჰყვება მუსიკას, მასწავლებლის სიმღერას, აკომპანემენტს;
- მღერის მარტივ ერთხმიან სიმღერებს აკომპანემენტით ან მასწავლებელთან ერთად;
- მღერის მარტივ ერთხმიან სიმღერებს თანაკლასელებთან ერთად;
- სიმღერის დროს სწორად რეაგირებს მასწავლებლის მინიშნებებზე (*ჩუმად, ხმამაღლა, ჩქარა, ნელა*).

**მუს.I.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმის, მოძრაობის, მიმიკის, ჟესტის, ტაშის, ხმაურის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;
- მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებს მიუსადაგებს სხვადასხვა თამაშობას (დახუჭობანა, დამალობანა, ომობანა და ა. შ.) და ქმნის შესაბამის ტექსტს;
- სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამოწვეულ ემოციას.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

**მუს.I.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას მოსმენილი ნაწარმოების მიმართ;
- განარჩევს ერთმანეთისგან ნაცნობ და უცნობ მელოდიას;
- მოსმენისას ტაშით, სიმღერით, მოძრაობით აჰყვება მუსიკას;
- მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.

**მუს.I.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად წარმოთქვამს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს;
- საჭიროების შემთხვევაში ელემენტარულად განმარტავს მათ;
- უცნობი ტერმინის, სიტყვის გაგებისას სვამს კითხვებს მათი მნიშვნელობის დაზუსტების მიზნით.

**მუს.I.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს თამაშებში, კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში;
- ესწრება კონცერტებს, წარმოდგენებს.

მუს. I.7. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს ქცევის ნორმებს სხვისი სიმღერის, საუბრის დროს;
- მხარს უჭერს და ამხნევეს თანაკლასელს შემოქმედებით პროცესში (*სიმღერა, ეტიუდი, ცეკვა, დაკვრა, საკონცერტო გამოსვლა*).

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

მუს. I.8. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნასწავლ საბავშვო სიმღერებს;
- იხსენებს სად, რა გარემოში მოუსმენია ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები;
- იხსენებს თავის საყვარელ მუსიკალურ ნაწარმოებებს;
- მუსიკალური ნაწარმოების შინაარსთან დაკავშირებით სვამს კითხვებს, იხსენებს მსგავს სიუჟეტს, პერსონაჟს;
- აკავშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან შესაბამის ვიზუალურ მასალას და იხსენებს საკუთარ შთაბეჭდილებებს (*ფოტო, ვიდეო-ჩანაწერი...*).

მუს. I.9. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ჩამოთვლის ნაცნობ მუსიკალურ საკრავებს;
- ამოიცნობს მათ ფორმის მიხედვით;
- განასხვავებს საკრავების ჟღერადობას.

მუს. I.10. მოსწავლეს შეუძლია განასხვაოს გარემოში მოსმენილი ხმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- არკვევს ხმის წარმოქმნის წყაროს (*ტელეფონის ზარი, მანქანის მუხრუჭი..., ჩიტის ჭიკჭიკი, ფოთლების შრიალი...*) და ბაძავს მას;
- განსაზღვრავს ხმის ჟღერადობის ხანგრძლივობას (*ხანგრძლივი, ხანმოკლე*) და იმეორებს მას;
- გამოხატავს დამოკიდებულებას ხმის მიმართ (*მოსწონს, არ მოსწონს*).

## პროგრამის შინაარსი

### რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:

- ბგერა (ხანმოკლე – ხანგრძლივი, მუსიკალური-არამუსიკალური...), ხმოვანების სიძლიერე (ხმამაღალი - ხმადაბალი);
- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური); რიტმი (მეოთხედი და მერვედი გრძლიობები, 2-4 ტაქტი), ორწილადი, სამწილადი მეტრი.

### სიმღერა:

- სიმღერა თანხლებით;
- სიმღერა ინდივიდუალურად და თანაკლასელებთან ერთად;
- მარტივი ერთხმიანი სიმღერები საბავშვო, ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან, მაგალითად: "ჟუჟუნა წვიმა", "ჭრელო პეპელა", "ლალე", "მზე შინა"; მ. დავითაშვილი – "ჩიტო, ჩიტო, ნაცარა", "ეს საწყალი კურდღელი", ლ. იაშვილი – "კრიჭი, კრიჭი"; გ. დარახველიძე - "ფიფქები"; ი. გურგულია - "აჩუ, აჩუ"; ი. ბრამსი - "ნანა"; ვ. ა. მოცარტი - "ნანა"; ჯ. პიერპონტერი – "Jingle Bells"; "Twinkle Twinkle Little Star" და სხვ.

### განწყობილების გადმოცემა:

- სიხარული, მწუხარება, შიში, გაბრაზება და ა. შ.;
- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით.

### მუსიკალური ტერმინები:

- ხმამაღლა, ხმადაბლა, ჩქარა, ნელა;
- კომპოზიტორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, გუნდი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

### ხმის წარმოქმნის წყარო:

- ბუნება, ქუჩა, სახლი.

### ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი თემაზე - ახალი წელი, გაზაფხული, შემოდგომა.

### მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია: სიმღერის ტექსტი, სიუჟეტი, საინტერესო ეპიზოდები ცნობილი მუსიკოსების ბიოგრაფიიდან.

**ხალხური და კლასიკური საკრავები:**

- სალამური, დოლი, გუდასტვირი;
- ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა, ქსილოფონი.

**სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:**

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები კლასიკური ნაწარმოებებიდან, საბავშვო პროგრამული პიესები, მაგალითად, "მესტვირული" გუდასტვირზე, "ნანა", "იავნანა", "ჭრელო პეპელა", "ჟუჟუნა წვიმა მოვიდა" (სამხმიანი ვარიანტი); "ახ, ლაზარე, ლაზარე", "მზე შინა", საგალობელი "წმიდაო ღმერთო", "ხორუმი" დოლზე, ოსური საცეკვაო "სიმდი", ფრანგული საბავშვო სიმღერა "Frere Jacques"; სპირიტუელის "Ride the chariot"; ზ. ფალიაშვილი, ი. კეჭაყმაძე – საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი; ზ. ფალიაშვილი - ცეკვა "ქართული" ოპერიდან "დაისი"; ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატიურა "საჭიდაო"/"ლალე"/"ინდი-მინდი"; რ. ლალიძე - "ჰიმნი დედა ენას", საორკესტრო პიესა "საჭიდაო"; ი. ს. ბახი - "გუდასტვირი", "ხუმრობა" (ფლეიტის სოლოთი) სიუიტიდან #2; ქ. ვ. გლუკი - "მელოდია" ფლეიტისათვის ოპერიდან "ორფეუსი"; ი. ჰაიდნი - საფორტეპიანო სონატა HOB.37, რე მაჟორი, I ნაწილი; ვ. ა. მოცარტი - მენუეტი ფა მაჟორი; ე. გრიგი - "მთის მეფის გამოქვაბული" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; პ. ჩაიკოვსკი - "პატარა გედების ცეკვა" ბალეტიდან "გედების ტბა", "პატარა ჯარისკაცების მარში" ციკლიდან "საბავშვო ალბომი"; ნ. რიმსკი-კორსაკოვი - "კელას გაფრენა"; ვ. სენ-სანსი - "სპილო" ციკლიდან "ცხოველების კარნავალი"; ლ. ბეთჰოვენი - "ზაზუნა" და ა. შ.

**II კლასი**

**მუსიკა**

**სტანდარტი**

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
მუს. II.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ	მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ.	მუს. II.9. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს შემოქმედებითი პროფესიები და დაუკავშიროს ისინი

<p><b>სავარჯიშოებში.</b></p> <p><b>მუს.II.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p> <p><b>მუს.II.3.</b> მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.</p>	<p><b>მუს.II.5.</b> მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.</p> <p><b>მუს.II.6.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p> <p><b>მუს.II.7.</b> მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.</p> <p><b>მუს.II.8.</b> მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.</p>	<p>ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშებს.</p> <p><b>მუს.II.10.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.</p> <p><b>მუს.II.11.</b> მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს.</p> <p><b>მუს.II.12.</b> მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები.</p>
---	---	--

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

**მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები**

**მუს.II.1.** მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთ ტონზე სიმღერით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს, ცვლის ბგერათსიმბალეს, ტემპს;
- განასხვავებს ნელ და ჩქარ ტემპს;
- ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მელოდიის, ტემპის, ხმოვანების სიძლიერის მიხედვით;

- ტაშით, კაკუნით იმეორებს მარტივ რიტმულ ნახაზს;
- თანაკლასელებთან ერთად "უკრავს" სათამაშო ინსტრუმენტებისა ან/და სხვადასხვა საგნისგან შემდგარ "ანსამბლში", "ორკესტრში".

**მუს. II.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმას აყოლებს თანაკლასელების, მასწავლებლის სიმღერას, მუსიკალურ თანხლებას;
- სიმღერით იმეორებს მუსიკალურ ფრაზებს;
- ენაცვლება თანაკლასელებს სიმღერის ცალკეულ ფრაზებად შესრულებისას;
- მღერის თანაკლასელებთან ერთად პოპულარულ მელოდიებსა და ერთხმიან სიმღერებს;
- რეაგირებს მუსიკის მასწავლებლის მინიშნებებზე (*ჩუმად, ხმამაღლა, ნელა, ჩქარა, ერთად, თავიდან...*).

**მუს. II.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმის, მოძრაობის, ცეკვის, მიმიკის, ქესტის, თამაშის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;
- გამოხატავს ამავე განწყობილებას ინსტრუმენტთან შეხების, ხმაურის, ტაშის, ნახატის საშუალებით;
- მუსიკალური ნაწარმოებიდან მიღებული განწყობილების გადმოსაცემად სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ ეტიუდებს შესაბამისი იმპროვიზაციული ტექსტის დამატებით;
- სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამოწვეულ ემოციას.

**მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია**

**მუს. II.4. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ .**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას მოსმენილი ნაწარმოების მიმართ;
- იმეორებს მუსიკალურ საქცევს, მარტივ რიტმულ ნახაზს;
- განარჩევს ერთმანეთისგან ნაცნობ და უცნობ მელოდიას, ნაცნობ და უცნობ თემას;
- განმეორებითი მოსმენისას ტაშით, სიმღერით, ცეკვით აჰყვება მუსიკას, "დირიჟორობს" მოსმენისას;
- მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში და შეძლებისდაგვარად აცოცხლებს ამ ნახატს.

მუს. II.5. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად წარმოთქვამს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს;
- საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მათ;
- სვამს კითხვებს მისთვის უცნობი მუსიკალური საკრავის, ცნების სახელწოდების დაზუსტების მიზნით.

მუს. II.6. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს კლასის ზეიმში, თემატურ ღონისძიებებში - ახალი წელი, გაზაფხული, შემოდგომა;
- ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს.

მუს. II.7. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცავს ქცევის ნორმებს სხვისი სიმღერის, საუბრის დროს;
- უფრო ხილდება სხვის ნამუშევარს;
- ითვალისწინებს განსხვავებულ აზრს.

მუს. II.8. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკის მოსმენით აღძრულ შთაბეჭდილებებზე;
- მუსიკალური ფრაგმენტის მელოდიას, დინამიკას, ტემპს, რიტმს უკავშირებს კონკრეტულ განწყობილებას;
- ამოიცნობს თანაკლასელების მიერ სიმღერით, ღიღინით გადმოცემულ განწყობილებას, გრძნობას.

**მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

მუს. II.9. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს შემოქმედებითი პროფესიები და დაუკავშიროს ისინი ხელოვნების კონკრეტულ ნიმუშებს.



შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს კომპოზიტორის, მხატვრის, მოქანდაკის, პოეტის, მწერლის პროფესიებს და ასახელებს მათთან დაკავშირებულ ერთ ან მეტ ნაწარმოებს;
- ამოიცნობს ხელოვნების ნაწარმოებებს თავის გარემოცვაში;
- ხელოვნების ნიმუშის ნახვის, მოსმენის შემდეგ ასახელებს ავტორის პროფესიას.

**მუს. II.10. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იხსენებს სად, რა გარემოში მოუსმენია თავისი საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებები;
- ჰყვება მუსიკალურ ნაწარმოებთან დაკავშირებულ თქმულებას, ისტორიას, შინაარსს და პასუხობს კითხვებს ამის გარშემო;
- სვამს კითხვებს მუსიკალური ნაწარმოების ავტორთან, სიუჟეტთან, ეპოქასთან, შემსრულებელთან დაკავშირებით;
- იხსენებს, რომელი გმირის ასოციაციას იწვევს მუსიკალური ნაწარმოები;
- აკავშირებს მუსიკალურ ნაწარმოებთან ვიზუალურ მასალას (*ფოტო, ვიდეო*) და იხსენებს საკუთარ შთაბეჭდილებებს.

**მუს. II.11. მოსწავლე იცნობს ნასწავლ მუსიკალურ საკრავებს.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკრავს ფორმის მიხედვით;
- ამოიცნობს სოლო ჟღერადობის დროს;
- მოძრაობით ახდენს მათზე დაკვრის იმიტაციას.

**მუს. II.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს გარემოში მოსმენილი ხმები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს ბუნებრივ და ხელოვნურ ხმებს;
- სწორად განსაზღვრავს თითოეულ ხმას (*ჭიკჭიკი, სტვენა, ღრჭიალი...*).

## პროგრამის შინაარსი

**რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:**

- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური), რიტმი (ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობები, პაუზა), ხმოვანების სიმღიერე (დინამიური ნიუანსები), რიტმი, ტემპი (ჩქარი-ნელი), კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

**სიმღერა:**

- სიმღერა თანხლებით;

- ერთხმიანი სიმღერები ხალხური, საბავშვო და კლასიკური რეპერტუარიდან, მაგალითად, "ლაზარე", "სალამი, ჩიტუნებო", "იავნანა", "მახსოვს პირველად", "ეს აკვანი ხარატული"; მ. დავითაშვილი – "მანანას სიმღერა", გ. ცაბაძე – "ანა-ბანა", კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები"; ლ. იაშვილი – "კომში, კომში, კომარა", მ. ოთიაშვილი – "ნოე ბაბუს კიდობანი", "ჟუჟუნა წვიმა", "ჭრელო პეპელა"; ლ. ბეთჰოვენი – "ზაზუნა", რ. როჯერსი – "Do, Re, Mi"; "Alphabet", სომხური საბავშვო სიმღერა "Kerin Yekav Mer Baky" და სხვ.

#### განწყობილების გადმოცემა:

- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით, ცეკვით, თამაშით;
- ეტიუდების შესრულება.

#### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა;
- დინამიური ნიუანსები: Forte - ხმამაღლა, Piano - ხმადაბლა;
- კომპოზიტორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

#### მუშაობის ფორმები:

- ინდივიდუალური და ჯგუფური.

#### ხმის წარმოქმნის წყარო:

- ბუნება, ქუჩა, საკონცერტო დარბაზი, სახლი.

#### ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი;
- საჯარო კონცერტი, წარმოდგენა.

#### მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია მუსიკალური ნაწარმოების შესახებ: ტექსტი, სიუჟეტი, ავტორი;
- შემოქმედებითი პროფესიების გაცნობა: მხატვარი, კომპოზიტორი, პოეტი და სხვ.

#### საკრავები:

- ფანდური, ჩონგური, დიპლიპიტო; არფა, ჩელო, გიტარა, ლიტავრები, საყვირი.

#### მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები ქართული და უცხოური ნაწარმოებებიდან, საბავშვო მუსიკალური პროგრამული პიესები, სახასიათო ფრაგმენტები ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "ბატონებო", "სისა, ტურა", "შინა ვორგილ"; საგალობელი "შენ ხარ ვენახი", მიკის თეოდორაკის - "სირტაკი"; ზ. ფალიაშვილი - "ცანგალა და გოგონა" ოპერიდან "დაისი"; ვ. დოლიძე - ცეკვა "ქართული", სიკოს და საქოს კუპლეტები ოპერიდან "ქეთო და კოტე"; ს. ცინცაძე - საკვარტეტო მინიატიურა - "სოფლური ცეკვა"/"მწყემსური"/"ცოლი გამიდიდგულდა"; გ. ცაბაძე - "ოცდახუთსა დეკემბერსა" კინოფილმიდან "ვერის უბნის მელოდიები"; ი.ს. ბახი - მენუეტი რე მინორი "ანა მაგდალინას რვეულიდან"; ვ.ა. მოცარტი - "ლამის პატარა სერენადა", I ნაწილი; ლ. ბეთჰოვენი - "ელიზესადმი", საფორტეპიანო მინიატიურა; ფ. შუბერტი - სიმღერა "კალმახი"; ე. გრიგი - "ანიტრას ცეკვა" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; რ. შუმანი - "მამაცი მხედარი"; ი. ბრამსი - "უნგრული ცეკვა" # 5; კ. სენ-სანსი - "აკვარიუმი" ციკლიდან "ცხოველების კარნავალი"; პ. ჩაიკოვსკი - "ყვავილების ვალსი", "ტრეპაკი", "ნეაპოლური სიმღერა" საყვირის სოლოთი ბალეტიდან "მაკნატუნა"; ს. პროკოფიევი - გავოტი "კლასიკური სიმფონიიდან", III ნაწილი; კ. ჯოპლინი - "Maple leaf rag", რ. როჯერსი - მიუზიკლი "მუსიკის ჰანგები" და სხვ.

### III კლასი

#### მუსიკა

#### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<p><b>მუს.III.1.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.</p>	<p><b>მუს.III.7.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ.</p>	<p><b>მუს.III.12.</b> მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ხელოვნების დარგები და ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიები.</p>
<p><b>მუს.III.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>	<p><b>მუს.III.8.</b> მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.</p>	<p><b>მუს.III.13.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.</p>
<p><b>მუს.III.3.</b> მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.</p>	<p><b>მუს.III.9.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p><b>მუს.III.14.</b> მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ნასწავლი მუსიკალური საკრავები.</p>

<p><b>მუს.III.4.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა.</p>	<p><b>მუს.III.10.</b> მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.</p>	
<p><b>მუს.III.5.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.</p>	<p><b>მუს.III.11.</b> მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და</p>	
<p><b>მუს.III.6.</b> მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.</p>	<p>განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.</p>	

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

**მუს.III.1.** მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების ამოცნობა და მათი გამოყენება რიტმულ-ინტონაციურ სავარჯიშოებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს მუსიკალური ბგერის ხანგრძლივობას გამღერების, ინსტრუმენტზე დაკვრის დროს;
- განასხვავებს ნელ და ჩქარ შესრულებას, ხმამაღალ და ხმადბალ ხმოვანებას მუსიკალური ფრაგმენტების მოსმენისას;
- განასხვავებს რეგისტრებს სხვადასხვა სიმაღლეზე გაჟღერებული მუსიკალური ფრაზის მოსმენისას (*მაღალი – დაბალი*);
- განასხვავებს ორ- და სამწილად მეტრს ცეკვის, მოძრაობის საშუალებით (*ვალსი, პოლკა*);
- სიმღერისას, მუსიკის მოსმენისას გამოყოფს მახვილებით ტაქტის ძლიერ დროს;
- გამოხატავს მუსიკის რიტმს ფეხის დარტყმით, ტაშით;
- თანაკლასელებთან ერთად აწყვება მუსიკას, "უკრავს" სხვადასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ "ანსამბლში", "ორკესტრში".

**მუს.III.2.** მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მართო და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიმღერით იმეორებს მუსიკალურ ფრაზებს, მელოდიებს;
- თანაკლასელებთან ერთად ასრულებს პოპულარულ მელოდიებს, ერთხმიან და მარტივ ორხმიან სიმღერებს მასწავლებლის დახმარებით;

- ასრულებს მრავალხმიანი სიმღერის ერთ ხმას გაბმული ბანის ფონზე;
- მღერის მარტივ სიმღერებს იმ უცხო ენაზე, რომელსაც სწავლობს;
- სწორად რეაგირებს სადირიჟორო ჟესტებზე (*ჩუმად, ხმამაღლა, ნელა, ჩქარა, ერთად, თავიდან*).

**მუს.III.3. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს გამოხატვის სხვადასხვა ფორმას გარკვეული განწყობილების გადმოსაცემად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხმის, მოძრაობის, ცეკვის, მიმიკის, ჟესტის, თამაშის საშუალებით გამოხატავს ამა თუ იმ განწყობილებას;
- გამოხატავს ამავე განწყობილებას ინსტრუმენტთან შეხების, ხმაურის, ტაშის, ნახატის საშუალებით;
- გაითამაშებს სხვებთან ერთად რაიმე ამბავს მუსიკალური ნაწარმოებიდან მიღებული განწყობილების გადმოსაცემად;
- გაითამაშებს მარტივ ეტიუდებს შესაბამისი იმპროვიზაციული ტექსტის დამატებით;
- სხეულის მოძრაობით გადმოსცემს მუსიკით გამოწვეულ ემოციას.

**მუს.III.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ხატავს ვიოლინოს გასაღებს;
- განარჩევს და ასახელებს სანოტო სისტემის ხაზებს;
- ამოიცნობს, ასახელებს და წერს ნოტებს ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე.

**მუს.III.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიტანს გაკვეთილისთვის საჭირო ნივთებს;
- აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;
- მონაწილეობს გამოკითხვაში;
- სვამს კითხვებს;
- ჩაიწერს დავალებას.

**მუს.III.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მუშაობს სხვებთან ერთად;
- ეხმარება თანაკლასელებს;
- ყურს უგდებს განსხვავებულ აზრს;
- ემზადება ჯგუფური წარმოდგენისათვის.

## მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

მუს.III.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობ მელოდიას/მუსიკალურ თემას;
- მოსმენისას ტაშით, სიმღერით, მოძრაობით, ცეკვით აჰყვება მუსიკას;
- ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მელოდიის, ტემპის, ხმოვანების სიმღერის, მეტრის მიხედვით;
- განასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს;
- იმეორებს მუსიკალურ საქცევს, მელოდიას, დამახასიათებელ რიტმულ ნახაზს
- “დირიჟორობს” მოსმენისას;
- მუსიკით გამოწვეულ განწყობილებას, ემოციას გადმოსცემს ნახატში.

მუს.III.8. მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი მუსიკალური ტერმინების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ნასწავლ ტერმინებს საუბრის დროს და საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მათ;
- სვამს კითხვებს ახალი ტერმინის, სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტების მიზნით.

მუს.III.9. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს კლასის ღონისძიებებში;
- მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;
- დადის თეატრში, კონცერტზე, მუზეუმში.

მუს.III.10. მოსწავლეს აქვს უნარი, პატივისცემით მოეკიდოს სხვის შემოქმედებასა და აზრს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დადებითად აფასებს თანაკლასელების მიერ გამოვლენილ ნებისმიერ უნარს – სიმღერა, ცეკვა, ხატვა, რიტმის გრძნობა, წერის უნარი;
- აცდის სხვებს პასუხის დასრულებას;
- კორექტულია აზრის გამოთქმის დროს.

მუს.III.11. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა გრძნობებისა და განწყობილებების გამოხატვის საშუალებაა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს იმაზე, რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები;
- მუსიკალური საკრავის ტემბრს უკავშირებს კონკრეტულ განწყობილებას;
- განწყობილების შესაბამისად ასრულებს ნაცნობ მელოდიას, სიმღერას;
- საუბრობს იმაზე, რისი გამოხატვა სურდა ავტორს კონკრეტულ ნაწარმოებში.

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

**მუს.III.12. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ხელოვნების დარგები და ხელოვნებასთან დაკავშირებული პროფესიები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს ხელოვნების სხვადასხვა დარგს - მუსიკას, მხატვრობას, ქანდაკებას, ცეკვას, პოეზიას;
- აკავშირებს ხელოვნების დარგებთან შესაბამის პროფესიებს და აღწერს მათ საქმიანობას (*მაგალითად, მუსიკა – კომპოზიტორი – წერს მუსიკას*);
- ასახელებს ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ორ ან მეტ ნიმუშს და ამ დარგის გამომსახველ საშუალებებს, მასალებს.

**მუს.III.13. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი ნაწარმოების ყოველდღიურობასთან დაკავშირება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს კითხვებს მოსმენილ ნაწარმოებთან დაკავშირებით;
- პარალელს ავლებს მოსმენილ და წაკითხულ, ნანახ ნაწარმოებებს შორის;
- აკავშირებს მუსიკალური ნაწარმოებების სიუჟეტს, ტექსტს ყოველდღიურ მოვლენებთან (*მგ ზავრობა, თამაში, ამინდი...*).

**მუს.III.14. მოსწავლეს შეუძლია ერთმანეთისგან განასხვავოს ნასწავლი მუსიკალური საკრავები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკრავებს სოლო ჟღერადობის დროს;
- განასხვავებს საკრავებს მასალის მიხედვით;
- ხატავს ინსტრუმენტს ან მის რომელიმე ნაწილს.

პროგრამის შინაარსი

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტები: მელოდია (დიატონური, 4-8 ტაქტი), რიტმი (მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობები, პაუზა), დინამიური ნიუანსები (Forte, Piano, Crescendo, Diminuendo), ტემპი (Allegro, Adagio, Presto, Moderato), მეტრი (ორწილადი, სამწილადი), კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა.

#### სიმღერა:

- სიმღერა თანხლებით;
- ერთხმიანი და მარტივი ორხმიანი სიმღერები, საბავშვო, ხალხური სიმღერები, მელოდიები პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "ცანგალა და გოგონა", "მუმლი მუხასა", "მოხვევის ქალო თინაო", "ვისია, ვისია ქალი ლამაზი"; ჯ. კახიძე - "მზის სიმღერა"; მ. აროშიძე - "კანფეტების თოვლი", ი. ბობოხიძე - "გოგო ანა"; ა. ბასილაია - "ცისარტყელები", "სოფლის მაშენებლები"; ჯ. კახიძე, ვ. კახიძე - "ალილო"; ვ. გოკიელი - წითელქუდას სიმღერა; გ. ცაბაძე - "საათი"; მ. დავითაშვილი - "პატარა გუგული"; გ. ჰუსეინი - "Cüçələrim" ("ჯუჯალარიმ"); ვ. შაინსკი - "От улыбки"; ლ. ბეკმანი - "В лесу родилась ёлочка"; რ. როჯერსი - "The Lonely Goatherd"; შოტლანდიური სიმღერა - "My Bonnie" და სხვ.

#### განწყობილების გადმოცემა:

- ხმით, მოძრაობით, მიმიკით, ჟესტით, ცეკვით, თამაშით;
- ეტიუდების შესრულება.

#### მუსიკალური დამწერლობა:

- ვიოლინოს გასაღები;
- სანოტო ნიშნები ხუთხაზიან სისტემაზე;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი გრძლიობის ნოტები.

#### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა, Presto - ძალიან ჩქარა, Moderato - ზომიერად;
- დინამიური ნიუანსები: Forte - ხმამაღლა, Piano - ხმადაბლა, crescendo - ხმოვანების გაძლიერება, diminuendo - ხმოვანების შესუსტება;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, ანსამბლი, დუეტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

#### მუშაობის ფორმები:

- ჯგუფური, წყვილში, ინდივიდუალური.



## ღონისძიებები:

- კლასის ზეიმი;
- სკოლის საანგარიშო კონცერტი.

## მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია შესწავლილი და მოსმენილი ნაწარმოებების შესახებ: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორი;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- ხელოვნების დარგების გაცნობა: მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, პოეზია, მწერლობა... ამ დარგების კონკრეტულ პროფესიებთან, ადამიანებთან დაკავშირება.

## საკრავები:

- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტების ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით, მაგალითად: ჭიბონი, ჩანგი, დაირა, ჰობოი, ზარები, კონტრაბასი, სამკუთხედი.

## რეკომენდებული მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები, ფრაგმენტები ქართული და უცხოური ნაწარმოებებიდან, საბავშვო მუსიკალური პროგრამული პიესები, ფრაგმენტები ცნობილი მუსიკალური ნაწარმოებებიდან, მაგალითად, დასაკრავი ჩონგურზე, "ქართლური მრავალჟამიერი"; "თებრონე მიდის წყალზედა", "მორბის არავი", საგალობელი "ღმერთი უფალი"; ზ. ფალიაშვილი - კიაზოს სცენა და მოწოდება ხალხისადმი "თავისუფლება" ოპერიდან "დაისი", ცეკვა "ქართული" ოპერიდან "აბესალომ და ეთერი"; დ. არაყიშვილი - აბდულ არაბის არიოზო, დუეტი რუსუდანთან და ცეკვები ოპერიდან "თქმულება შოთა რუსთაველზე"; აფხაზური სიმღერა "სალუმან ახაწა" (ანსამბლ "ნანიას" შესრულებით); ნ. სულხანიშვილი - "მესტვირული"; ჯ. კახიძე - "იავნანა" კინოფილმიდან "იავნანამ რა ჰქმნა", ი. ს. ბახი - ბრანდენბურგის კონცერტი #2, III ნაწილი - ბლოკფლეიტა, ჰობოი; დ. სკარლატი - სონატა, K. 159, დო მაჟორი; ა. ვივალდი - "გაზაფხული", I ნაწილი, კონცერტების ციკლიდან "წელიწადის დრონი"; ვ. ა. მოცარტი - უვერტიურა ოპერისათვის "ფიგაროს ქორწინება"; ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო კონცერტი #1, III ნაწილი; ე. გრიგი - "დილა" სიუიტიდან "პერ-გიუნტი"; კ. დებიუსი - "თოჯინების კეკ-უოკი"; ი. შტრაუსი - "რადეცკი მარში" და სხვ.

## IV კლასი

### მუსიკა

### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<p><b>მუს.IV.1.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.</p> <p><b>მუს.IV.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p> <p><b>მუს.IV.3.</b> მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.</p> <p><b>მუს.IV.4.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა და ჩაწერა.</p> <p><b>მუს.IV.5.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.</p> <p><b>მუს.IV.6.</b> მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.</p>	<p><b>მუს.IV.7.</b> მოსწავლეს შეუძლია საუბარი მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შესახებ.</p> <p><b>მუს.IV.8.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p> <p><b>მუს.IV.9.</b> მოსწავლეს შეუძლია ქცევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.</p> <p><b>მუს.IV.10.</b> მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება თვითგამოხატვის საშუალებაა.</p>	<p><b>მუს.IV.11.</b> მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს მუსიკოსთა სპეციალობები და შეადაროს ისინი ერთმანეთს.</p> <p><b>მუს.IV.12.</b> მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.</p> <p><b>მუს.IV.13.</b> მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან მუსიკალური საკრავები.</p>

**მუს.IV.1. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მუსიკის მოსმენის დროს განასხვავებს მაჟორსა და მინორს;
- მღერის უახლოეს ბგერებს ტონიკის გარშემო (*ტონიკური ბგერის შემომღერება*);
- სიმღერით იმეორებს ინტერვალებს კვინტის ფარგლებში;
- ნაცნობ მელოდიას შეურჩევს ტექსტს;
- ნაცნობ მელოდიას მღერის ნელა - ჩქარა (*ტემპი*), ხმამაღლა - ხმადაბლა (*ხმოვანების სიძლიერე*);
- არკვევს, ფორტეპიანოს რომელ რეგისტრში ჟღერს მუსიკალური ფრაგმენტი;
- ამოიცნობს ინსტრუმენტზე, ღიღინით, სხვა ტექსტზე შესრულებულ ნაცნობ მელოდიას;
- სიმღერის შესრულების/ მუსიკის მოსმენისას გამოყოფს მახვილებით ძლიერ დროს;
- უცვლელი მეტრის პირობებში ტაშით ან კაკუნით წარმოადგენს სხვადასხვა რიტმულ ნახაზს;
- თანაკლასელთა მიერ გაბმულად გაჟღერებულ ტონს, მარტივ რიტმულ ფიგურას (*ოსტინატო*) უხამებს საკუთარ ან სხვა ხმას (*კაკური, საკრავი*) მელოდიურ საქცევს, რიტმულ ფიგურას;
- თანაკლასელებთან ერთად "უკრავს" სხვადასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ "ანსამბლში", "ორკესტრში".

**მუს.IV.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის მაჟორსა და მინორს თანაკლასელებთან ერთად;
- თანაკლასელებთან ერთად მღერის ინტერვალებს კვინტის ფარგლებში;
- მღერის მარტო, წყვილში, გუნდში ერთხმიან და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის იმ უცხო ენაზე, რომელსაც სწავლობს;
- მღერის დინამიური ნიუანსების დაცვით.

**მუს.IV.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების / ფრაგმენტის განწყობილების გამოხატვის მიზნით;
- პანტომიმით გამოხატავს გარკვეულ განწყობილებას;
- ამოიცნობს თანაკლასელის მიერ გამოხატულ განწყობილებას;
- მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შთაბეჭდილებით თხზავს ტექსტს;

- პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;
- კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს.

**მუს.IV.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის ნასწავლი ნიშნების ამოცნობა და ჩაწერა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს და წერს ნოტებს ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე;
- ასხვავებს და ჩაწერს გრძლიობებს, პაუზებს (*მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი*);
- კლავიატურაზე ასახელებს ნასწავლ ოქტავენს;
- კითხულობს და ტაშით გამოხატავს მარტივ რიტმს.

**მუს.IV.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიძიებს და მოიტანს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ნივთებს;
- ჩაიწერს დავალებას;
- აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;
- მონაწილეობს გამოკითხვაში;
- სვამს კითხვებს;
- კონკრეტული ამოცანის შესაბამისად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას.

**მუს.IV.6. მოსწავლეს შეუძლია ჯგუფში მუშაობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცდილობს მეწყვილესთან ერთად ამოცანის გადაჭრას;
- მუშაობს ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად;
- ყურს უგდებს განსხვავებულ აზრს;
- მონაწილეობს გუნდურ სამუშაოში.

**მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია**

**მუს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია საუბარი მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შესახებ.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მუსიკის მოსმენის დროს ასრულებს სხვადასხვა დავალებას - მიანიშნებს ნაცნობი საკრავის, ვოკალის შემოსვლას;
- ამოიცნობს ადრე მოსმენილი ნაწარმოებების ფრაგმენტებს;
- ასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ტემბრებს;

- ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს ტემპის, ხმოვანების სიძლიერის, მეტრის, საკრავთა ტემბრების მიხედვით;
- ზოგადად ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას;
- იყენებს საუბრის დროს ნასწავლ ტერმინებს.

მუს.IV.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს კლასის კონცერტში, კარნავალში, მეჯლისში;
- მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;
- მონაწილეობს ვიქტორინაში;
- წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, შემოქმედის ან კონფერანსიეს როლში.

მუს.IV.9. მოსწავლეს შეუძლია ქცევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხელს არ უშლის წარმოდგენის, კონცერტის, კინოფილმის მსვლელობას;
- წინასწარ შეთანხმებული წესების თანახმად გამოხატავს დამოკიდებულებას ნაწარმოების დასრულების შემდეგ;
- წინასწარ შეთანხმებული წესების თანახმად იქცევა გამოფენაზე, მუზეუმში;
- აცდის სხვებს აზრის გამოთქმას მსჯელობის დროს.

მუს.IV.10. მოსწავლეს ესმის და წარმოაჩენს, რომ მუსიკა/ხელოვნება თვითგამოხატვის საშუალებაა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს იმის შესახებ, თუ რა განწყობილებას უქმნის ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები;
- რამდენიმე შეთავაზებული სათაურიდან შეარჩევს ერთ-ერთს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებისთვის;
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებებზე და იმ ასოციაციებზე, რომელთაც იწვევს ეს ნაწარმოები;
- მსჯელობს იმის შესახებ, რისი გამოხატვა შეიძლება მელოდიის, სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხის საშუალებით;
- ჩამოთვლის რამდენიმე მიზეზს, რომელთათვისაც ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნაწარმოებებს.

**მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

**მუს.IV.11. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს მუსიკოსთა სპეციალობები და შეადაროს ისინი ერთმანეთს.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს კომპოზიტორისა და შემსრულებლის პროფესიებს;
- ასახელებს კომპოზიტორის, პიანისტის, მევიოლინის, დირიჟორის, მომღერლის და ა. შ. სპეციალობებს;
- იხსენებს, რომელი სპეციალობის მუსიკოსი უნახავს და მოუსმენია.

**მუს.IV.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს მოსმენილ ნაწარმოებებს განწყობილების მიხედვით;
- განასხვავებს სხვადასხვა სახის სპექტაკლს (*საბალეტო, საოპერო, დრამატული*);
- განასხვავებს კლასიკურ, ხალხურ და თანამედროვე მუსიკალურ ნაწარმოებებს;
- სვამს და უპასუხებს შეკითხვებს ნაწარმოების შინაარსთან, ავტორთან, ჟანრთან დაკავშირებით.

**მუს.IV.13. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან მუსიკალური საკრავები.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს ხალხური მუსიკის საკრავებს კლასიკური მუსიკის ინსტრუმენტებისაგან;
- ხატავს ინსტრუმენტებს;
- ამოიცნობს საკრავებს სოლო და ერთობლივი ჟღერადობის დროს;
- გამოყოფს და ასახელებს საკრავის ცალკეულ ნაწილებს (ხემი, ჯორაკი, კლავიში...);
- ასაბუთებს თავის დამოკიდებულებას იმ ინსტრუმენტის მიმართ, რომელიც გამოარჩია სხვა ინსტრუმენტებისაგან (მოსწონს მასზე შესრულების მანერა, ტემბრი, ფორმა...).

#### *პროგრამის შინაარსი*

**იმპროვიზაციული სავარჯიშოები:**

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიმღერე, რიტმი (ოსტინატო), ტემპი, მეტრი, რეგისტრი (მაღალი – საშუალო - დაბალი), ტემბრი (ინსტრუმენტული, ვოკალური), კილო (მაჟორი, მინორი), ინტერვალები კვინტის ფარგლებში, კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა, თანხმოვანება.

**სიმღერა:**

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად და გუნდურად;

- ერთხმიანი და მარტივი ორხმიანი სიმღერები საბავშვო, ხალხური რეპერტუარიდან, მელოდიები პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "თებრონე მიდის წყალზედა", "მორბის არაგვი", "ნანა", "გოგოვ, გოგოვ, შავთვალა"; ა. კერესელიძე – "წვიმა"; ი. გურგულია – "იავნანა"; გ. ცაბაძე – "ოცდახუთსა დეკემბერსა"; ს. ცინცაძე – "სიმღერა შავ კატაზე"; ვ. კახიძე – "ანო და ვანო"; მ. არაშიძე – "თუ, თუ, თუ"; გ. გორდეზიანი - "რა დილა თენდება"; ლ. ბეთჰოვენი - "ოდა სიხარულს" მე-9 სიმფონიის ფინალის თემა; ვ. შაინსკი - "Песенка крокодила Гены"; ჯ. ლენონი, პ. მაკარტნი - "Ob-La-Di, Ob-La-Da"; მ. გორდონი-პ. ვორენი - "Chattanooga Choo-Choo" და სხვ.

#### განწყობილების გადმოცემა:

- პანტომიმა;
- კომპოზიცია (სცენების გათამაშება).

#### სანოტო დამწერლობა:

- ნოტების ამოცნობა და ჩაწერა ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე, ვიოლინოს გასაღებში;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობის ნოტების და პაუზების წაკითხვა და ჩაწერა, მარტივი რიტმული ნახაზის გამონახვა ტაშით.

#### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონიკა;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა, Presto - ძალიან ჩქარა, Moderato – ზომიერად;
- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, არიოზო, ანსამბლი, დუეტი, ტრიო. კვარტეტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

#### მუშაობის ფორმები:

- ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური.

#### ღონისძიებები:

- სკოლის საანგარიშო კონცერტი;
- კლასის კონცერტი;
- ვიქტორინა.

## მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორი;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- მუსიკოსთა სპეციალობების გაცნობა: კომპოზიტორი, მომღერალი, დირიჟორი, პიანისტი, მევიოლინე, ვიოლონჩელისტი, ალტისტი და მათი კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირება.

## საკრავები:

- ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით;
- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტები, მაგალითად, ჭიანჭური, ქნარი, დუდუკი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, კლავესინი.

## სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის, XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, *"იმერული მგზავრული"*, *"არამი დო შარიქა"*, *მეგრული "ალილო"*, *"ასლანური მრავალჟამიერი"*, *დასაკრავი ფანდურზე*; *საგალობელი "ჯვარსა შენსა"*, *ო. დი კაპუა - ნეაპოლური სიმღერა "O Sole mio"*, *სომხური საცეკვაო "ბახტავარი"*; *ზ. ფალიაშვილი - ფრაგმენტები ოპერიდან "დაისი"*; *მ. ბალანჩივაძე - მასხარას კუპლეტები ოპერიდან "დარეჯან ცბიერი"*; *ო. თაქთაქიშვილი - "იუმორესკა" კამერული ორკესტრისთვის*; *ნ. გაბუნია - პიესები საფორტეპიანო ციკლიდან "მოწაფის დღიური"*, *დ. ტურიაშვილი - მიუზიკლი "პეპი გრძელი წინდა"*; *ფ. კუპერენი - "ტამბურინი"/"ჭიკჭიკი"/"ჭორიკანა"*; *ი. ჰაიდნი - სიმფონია #103, I ნაწილი*, *ვ. ა. მოცარტი - "თურქული მარში"*, *საფორტეპიანო სონატიდან #11, III ნაწილი*; *ლ. ბეთჰოვენი - უვერტიურა ი. ვ. გოეთეს დრამისათვის "ეგმონტი"*; *ფ. შუბერტი - "სერენადა"*; *ფ. შოპენი - პოლონეზი #3, ლა მაჟორი*; *პ. ჩაიკოვსკი - ფრაგმენტები ბალეტიდან "მაკნატუნა"*; *ს. პროკოფიევი - "გავოტი", თხზ. 25*; *გ. მილერი - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "მზიური ველის სერენადა" და სხვ.*

## V კლასი

### მუსიკა

### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით



პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<p><b>მუს.V.1.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტებისა და საკრავების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.</p>	<p><b>მუს.V.7.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა.</p>	<p><b>მუს.V.11.</b> მოსწავლეს შეუძლია ხელოვნების დარგების და სინთეზურ ხელოვნებაში მათი კავშირების განხილვა.</p>
<p><b>მუს.V.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p>	<p><b>მუს.V.8.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p>	<p><b>მუს.V.12.</b> მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.</p>
<p><b>მუს.V.3.</b> მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.</p>	<p><b>მუს.V.9.</b> მოსწავლეს შეუძლია ქცევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.</p>	<p><b>მუს.V.13.</b> მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს და დააჯგუფოს მუსიკალური საკრავები.</p>
<p><b>მუს.V.4.</b> მოსწავლეს შეუძლია მარტივი რიტმული ნახაზის, მელოდიის წაკითხვა და გადაწერა.</p>	<p><b>მუს.V.10.</b> მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კულტურის თვითგამოხატვის საშუალებაა.</p>	
<p><b>მუს.V.5.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის ორგანიზება.</p>		
<p><b>მუს.V.6.</b> მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.</p>		

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა

**მუს.V.1.** მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ენის ნასწავლი ელემენტების და საკრავების გამოყენება იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში.

- შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- განასხვავებს მაჟორსა და მინორს;
  - მღერის მაჟორულ და მინორულ სამხმოვანებას;

- სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას;
- სიმღერით იმეორებს ინტერვალებს ოქტავის ფარგლებში;
- ნაცნობ სიმღერას უცვლის ტექსტს;
- ნაცნობ მელოდიას მღერის სხვადასხვა ტონალობაში (*სხვადასხვა სიმადლეზე*);
- ამოიცნობს ღიღინით, სხვა ტექსტზე, ინსტრუმენტზე შესრულებულ ნაცნობ სიმღერას;
- განასხვავებს ორ- და სამწილად მეტრს მუსიკის მოსმენის დროს;
- უცვლელი მეტრის პირობებში ტაშით ან კაკუნით წარმოადგენს სხვადასხვა რიტმულ ნახაზს;
- თანაკლასელთა მიერ გაბმულად გაჟღერებულ ტონს (*ოსტინატო*), მარტივ რიტმულ ფიგურას უხამებს საკუთარ ან სხვა (*საკრავი, კაკუნი და სხვ.*) ხმას, მელოდიურ საქცევს, რიტმულ ფიგურას;
- თანაკლასელებთან ერთად უკრავს სხვადასხვა რიტმულ ნახაზს სათამაშო ინსტრუმენტებისა და ყოველდღიური მოხმარების საგნებისგან შემდგარ “ანსამბლში”, “ორკესტრში”.

მუს.V.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის მაჟორსა და მინორს თანაკლასელებთან ერთად;
- თანაკლასელებთან ერთად მღერის ინტერვალებს ოქტავის ფარგლებში;
- მღერის მარტო, წყვილში, გუნდში ერთ- და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს;
- მღერის დინამიური ნიუანსების დაცვით.

მუს.V.3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების / ფრაგმენტის განწყობილების გამოხატვის მიზნით;
- პანტომიმით გამოხატავს გარკვეულ განწყობილებას;
- ისმენს თანაკლასელთა აზრს საკუთარ შესრულებაზე;
- აფასებს თანაკლასელთა მიერ შესრულებულ თეატრალურ ეტიუდს;
- პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;
- კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს და შეძლებისდაგვარად გაითამაშებს მას.

მუს.V.4. მოსწავლეს შეუძლია მარტივი რიტმული ნახაზის, მელოდიის წაკითხვა და გადაწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს და წერს ნოტებს ვიოლინოს, ბანის გასაღებში;

- ამოიცნობს ალტერაციის ნიშნებს;
- ასახელებს ოქტავეებს;
- წერს, კითხულობს და ტაშით გადმოსცემს რიტმულ ნახაზს;
- ეყრდნობა სანოტო ტექსტს ნაწარმოების დასწავლის დროს.

**მუს.V.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობისთვის ორგანიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;
- აქტიურადაა ჩაბმული გაკვეთილის მსვლელობაში;
- სვამს კითხვებს;
- მონაწილეობს გამოკითხვაში.

**მუს.V.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მუშაობს სხვებთან ერთად ამოცანის გადასაჭრელად;
- საჭიროების შემთხვევაში ითხოვს დახმარებას და ეხმარება სხვებს;
- ანაწილებს სამუშაო ფუნქციებს და მოვალეობებს.

**მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია**

**მუს.V.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მოსმენილი ნაწარმოებების ფრაგმენტებს;
- გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად, ნახატით;
- ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას;
- ამოიცნობს მოსმენისას ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;
- განასხვავებს ვოკალურ და ინსტრუმენტულ ტემბრებს;
- ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა, ხმის ტემბრების, კილოს მიხრილობის (*მაჟორი, მინორი*) მიხედვით;
- იყენებს მუსიკალურ ტერმინებს საუბრის დროს.

**მუს.V.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს კლასის სპექტაკლში, კარნავალში;
- მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;
- ესწრება შეხვედრა-საღამოებს: კომპოზიტორთან, შემსრულებელთან;
- თანაკლასელებთან ერთად ესწრება საჯარო კონცერტს, სპექტაკლს;
- დადის ექსკურსიებზე ხელოვანთა სახლ-მუზეუმებში;

- მონაწილეობს და წარმართავს ვიქტორინას;
- წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, ავტორის ან კონფერანსიეს როლში.

მუს.V.9. მოსწავლეს შეუძლია ქცევის ნორმების დაცვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრებისას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხელს არ უშლის კონცერტის, კინოფილმის მსვლელობას;
- წინასწარ შეთანხმებული წესების თანახმად გამოხატავს დამოკიდებულებას ნაწარმოების დასრულების შემდეგ;
- წინასწარ შეთანხმებული წესების თანახმად იქცევა გამოფენაზე, მუზეუმში;
- კორექტულია აზრის გამოთქმის, ნაწარმოების განხილვის დროს;
- ტოლერანტულია განსხვავებული პოზიციის მიმართ.

მუს.V.10. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კულტურის თვითგამოხატვის საშუალებაა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს, რა ინფორმაცია მიიღო რომელიმე ისტორიულ პერიოდზე იმ ეპოქის ხელოვნების ნაწარმოების გაცნობით;
- საუბრობს, რა გაიგო ამა თუ იმ ხალხის კულტურის შესახებ მისი მუსიკის გაცნობით;
- საუბრობს სხვადასხვა კულტურის განმასხვავებელ ნიშნებზე, თავისებურებებზე;
- ამოიცნობს ქართული მუსიკის უცნობ ნიმუშებს სტილის მიხედვით.

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

მუს.V.11. მოსწავლეს შეუძლია ხელოვნების დარგების და სინთეზურ ხელოვნებაში მათი კავშირების განხილვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს ხელოვნების სინთეზური დარგების (*კინო, თეატრი, მათ შორის, მუსიკალური თეატრი*) შემადგენელ ელემენტებს;
- ასახელებს ხელოვნების სინთეზურ დარგებთან დაკავშირებულ პროფესიებს და მათ თვალსაჩინო წარმომადგენლებს;
- განარჩევს სხვადასხვა სახის სპექტაკლს (*საბალეტო, საოპერო, დრამატული*);
- იხსენებს სინთეზური ხელოვნების იმ ნიმუშებს, რომლებიც უნახავს და დასწრებია;
- ასახელებს იმ საკონცერტო და თეატრალურ დარბაზებს, სადაც წარმოდგენას დაესწრო;
- ჩამოთვლის უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებშიც აღიზრდებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

### მუს. V.12. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოებები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს ქართულ ხალხურ და პროფესიულ ნაწარმოებებს;
- საუბრობს ნასწავლი ნაწარმოებების ავტორების შესახებ;
- ადარებს ნასწავლ ნაწარმოებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას – ჟანრი, პროგრამა, ფორმა;
- განასხვავებს ხალხური მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს საქართველოს კუთხეებისა და ჟანრების მიხედვით.

### მუს. V.13. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს და დააჯგუფოს მუსიკალური საკრავები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს საკრავებს სოლო, ასევე ანსამბლში ჟღერადობის დროს;
- ხატავს ან ძერწავს საკრავებს;
- აჯგუფებს საკრავებს ბგერის მიღების წესის ან მასალის მიხედვით.

## პროგრამის შინაარსი

### იმპროვიზაციული საფარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიმღერე, რიტმი (ოსტინატო, პუნქტირული რიტმი), ტემპი, მეტრი, რეგისტრი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ინტერვალები ოქტავის ფარგლებში, თანხმოვანება, კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა (კონსონანსი, დისონანსი).

### სიმღერა:

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად ანსამბლში და გუნდურად;
- ერთხმიანი და ორხმიანი სიმღერების შესრულება, მაგალითად, "ჩელა", "ქალსა კაბა შეუკერავს", "ცოლი გამიდიდგულდა", "შავლეგო", ვ. წერეთელი - "სულიკო", რ. ლალიძე - "ჩემო კარგო ქვეყანავ", ნ. გაბუნია - "მეორე ლეგენდა", ბ. გელოვანი - "ორი რეზო", ი. გურგულია - "თეთრი გვირილა", "ოდელია, დელა", ფ. შუბერტი - "კალმახი", ჯ. ლენონი, პ. მაკარტნი - "Yellow Submarine", რ. როჯერსი - "Blue Moon", "ედელვაისი" და სხვ.

### კომპოზიცია:

- განწყობილების გადმოცემა – პანტომიმა;
- სცენების გათამაშება.

### მუსიკალური დამწერლობა:

- ნოტების ამოცნობა და ჩაწერა ვიოლინოს, ბანის გასაღებში მცირე, პირველ, მეორე ოქტავაში;
- მუსიკალური ფრაგმენტის გადაწერა;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი, გრძლიობის ნოტები, პაუზები;
- მუსიკალური ჩანაწერის გამოყენება ნაწარმოების დასწავლის დროს.

### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ტონიკა, მყარი, მერყევი საფეხურები;
- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, ფოლკლორისტი, მუსიკოლოგი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, ლობბარი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, კორდე-ბალეტი, ბალერინა, ბალეტის მოცეკვავე, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, არიოზო, რეჩიტატივი, ანსამბლი, დუეტი, ტრიო. კვარტეტი, კვინტეტი, ჟანრი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

### მუსიკალური ფორმები:

- რონდო, კუპლეთური ფორმა.

### მუსიკალური ნაწარმოებები:

- განსხვავებული ეპოქების ცნობილი ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა, შედარება;
- ქართული ხალხური მუსიკის მოსმენა, ამოცნობა.

### ღონისძიებები:

- სკოლის კონცერტი;
- კლასის წარმოდგენა, კარნავალი, შეხვედრა-საღამოები;
- ვიქტორინა;
- საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრება, ექსკურსია სახლ-მუზეუმში.

### მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორის პიროვნება;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- ხელოვნების დარგების კავშირი ხელოვნების სინთეზურ დარგებში: კინო, თეატრი... ამ დარგებთან კონკრეტული პროფესიების, ადამიანებისა და ნიმუშების დაკავშირება;
- ინფორმაცია ნაწარმოების და ავტორის შესახებ – სიუჟეტი (პროგრამა, ლიბრეტო), ჟანრი, ბიოგრაფიული ცნობები.

### საკრავები:

- ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით;
- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტები, მაგალითად, სტვირი, საზი, ტრომბონი, ორგანი, ალტი და სხვ.

### სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის, XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, გურული "ხასანბეგურა", "დილა", კახური "ალილო", მეგრული "კირიალესა", ქართლ-კახური "გლესავ და გლესავ", საგალობელი "უფალი სუფევს", ავსტრიული ხალხური სიმღერა იოდლით; ებრაული სიმღერა "Hava Nagilah"; ზ. ფალიაშვილი - ფრაგმენტები ოპერიდან "აბესალომ და ეთერი"; ა. მაჭავარიანი - ფრაგმენტები ბალეტიდან "ოტელო"; რ. ლალიძე - საფორტეპიანო პიესა "რონდო-ტოკატა"; ა. ბალანჩივაძე - საფორტეპიანო კონცერტი # 3; ი. ს. ბახი - ტოკატა და ფუგა ორგანისთვის რე მინორი; ყ. ფ. რამო - პიესები კლავესინისათვის "ქათამი"/ "პრინცესა/ "ყბედი ქალი"/ "ჩიტების გადამახილი"; ა. ვივალდი - "ზაფხული", I ნაწილი, კონცერტების ციკლიდან "წელიწადის დრონი"; ვ. ა. მოცარტი - სიმფონია #40, I ნაწილი; ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო სონატა # 1; ლ. დაკენი - "გუგული"; ჯ. როსინი - ფიგაროსა და დონ ბაზილიოს არიები ოპერიდან "სევილიელი დალაქი", ფ. მენდელსონი - "უსიტყვო სიმღერები", საქორწილო მარში საორკესტრო უვერტიურიდან "სიზმარი ზაფხულის ღამეს"; ჯ. ვერდი - მარში ოპერიდან "აიდა"; ა. ხაჩატურიანი - "ცეკვა ხმლებით" ბალეტიდან "გაიანე"; ა. რიბნიკოვი - მუსიკა კინოფილმიდან "ბურატინოს თავგადასავალი", რეი ჩარლზი - "ამერიკა" და სხვ.

## VI კლასი

### მუსიკა

### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<p><b>მუს.VI.1.</b> მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში მონაწილეობა.</p> <p><b>მუს.VI.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.</p> <p><b>მუს.VI.3.</b> მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.</p> <p><b>მუს.VI.4.</b> მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის გამოყენება.</p> <p><b>მუს.VI.5.</b> მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვა.</p> <p><b>მუს.VI.6.</b> მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.</p>	<p><b>მუს.VI.7.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება.</p> <p><b>მუს.VI.8.</b> მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.</p> <p><b>მუს.VI.9.</b> მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კომუნიკაციის საშუალებაა.</p>	<p><b>მუს.VI.10.</b> მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს.</p> <p><b>მუს.VI.11.</b> მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს მუსიკალური ნაწარმოებები.</p> <p><b>მუს.VI.12.</b> მოსწავლე იცნობს სხვადასხვა ტიპის ანსამბლისა და ორკესტრის შემადგენლობას.</p>

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა



**მუს. VI.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციულ სავარჯიშოებში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ერთსა და იმავე მელოდიურ საქცევს აჟღერებს მაჟორსა და მინორში;
- მაჟორული და მინორული სამხმოვანების ბგერებზე თხზავს რიტმულ და ინტონაციურ მოდელებს;
- სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას;
- მღერის ინტერვალებს ოქტავის ფარგლებში;
- განსაზღვრავს მისთვის ნაცნობი სიმღერის საწყის ინტერვალს;
- ნასწავლ ლექსს შეურჩევს/შეთხზავს მელოდიას;
- მოცემულ მელოდიურ საქცევს მღერის სხვადასხვა საფეხურიდან (*დიატონური სეკვენცია*);
- ტაშით/კაკუნით და სიმღერით წარმოადგენს მისთვის ნაცნობ ორ- და სამწილადი სტრუქტურის მელოდიებს;
- თანაკლასელებთან მონაცვლეობით ტაშით ქმნის რიტმულ კომპოზიციებს;
- გაბმულად შესრულებულ რიტმულ ფიგურას, ჰარმონიულ თანმიმდევრობას სიმღერით უხამებს სხვადასხვა მელოდიურ ხმას, რიტმულ ფიგურას.

**მუს. VI. 2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა მარტო და სხვებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თანაკლასელებთან ერთად მღერის აკორდებს;
- მღერის მარტო, წყვილში, გუნდში ერთ- და ორხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს, სიმღერებს;
- არჩევს და იყენებს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას.

**მუს. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს და გადმოსცეს მისთვის საინტერესო განწყობილება, სიუჟეტი, თემა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვებთან ერთად გაითამაშებს მარტივ სცენებს კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების / ფრაგმენტის განწყობილების გამოხატვის მიზნით;
- პანტომიმით გამოხატავს გარკვეულ განწყობილებას;
- ისმენს თანაკლასელთა აზრს საკუთარ შესრულებაზე;
- აფასებს თანაკლასელთა მიერ შესრულებულ თეატრალურ ეტიუდს;
- პერსონაჟის ხასიათს უსადაგებს მუსიკალურ ფრაგმენტს;
- კონკრეტულ ამბავს, სიუჟეტს უსადაგებს მისთვის ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებს და შეძლებისდაგვარად გაითამაშებს მას იმპროვიზებული ტექსტის გამოყენებით;
- კონკრეტული მუსიკალური ფრაზების საკრავებს შორის გააჟღერებსას ქმნის ტექსტურ დიალოგს.

#### **მუს. VI.4. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური დამწერლობის გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს და წერს ნოტებს ვიოლინოს, ბანის გასაღებში;
- ამოიცნობს და იყენებს ალტერაციის ნიშნებს;
- ჩაწერს ტაშით ან კაკუნით გადმოცემულ რიტმულ ნახაზს;
- ნაწარმოების, მისი ფრაგმენტის გადაწერის დროს არ უშვებს შეცდომებს;
- მცირე ფორმის საფორტეპიანო ნაწარმოების/ფრაგმენტის მოსმენისას თვალს ადევნებს სანოტო ჩანაწერს;
- იყენებს სანოტო სისტემის ცოდნას ნაწარმოების დასწავლის, კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობისას.

#### **მუს. VI.5. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიძიებს გაკვეთილისათვის საჭირო მუსიკალურ, ლიტერატურულ და ვიზუალურ მასალას;
- ცალკეული ამოცანის გადასაჭრელად გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს თანმიმდევრობას;
- გაკვეთილის, რეპეტიციის შემდეგ უვლის მუსიკალურ ინსტრუმენტებს, აუდიო – ვიდეო აპარატურას, ფირებს.

#### **მუს. VI.6. მოსწავლეს შეუძლია სხვებთან თანამშრომლობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ანაწილებს ჯგუფში სამუშაოს, ფუნქცია-მოვალეობებს;
- ითვალისწინებს და იყენებს ჯგუფის წევრების შესაძლებლობებს;
- ეხმარება სხვებს კონკრეტული ამოცანის შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში თავად ითხოვს დახმარებას;
- კამათის დროს ისმენს და ითვალისწინებს ჯგუფის წევრის არგუმენტს;
- აფასებს საკუთარ და სხვის მიერ გაწეულ სამუშაოს.

#### **მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია**

#### **მუს. VI.7. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების განხილვა და შეფასება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს ნაწარმოებს, მის ფრაგმენტს;
- გადმოსცემს თავის შთაბეჭდილებას სიტყვიერად, ნახატით, ჩანაწერის სახით;
- ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას;
- ამოიცნობს მოსმენისას ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;
- ახასიათებს კონკრეტულ მუსიკალურ ფრაგმენტს მეტრის, საკრავთა, ხმის ტემბრების, კილოს მიხრილობის მიხედვით;
- მსჯელობს მუსიკალური ნაწარმოების შესრულებაზე;
- იყენებს ნაცნობ მუსიკალურ მასალას ღონისძიებების გაფორმებისას.

მუს. VI.8. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს კლასის სპექტაკლში, კარნავალში, მეჯლისში;
- მონაწილეობს და ესწრება სკოლის საანგარიშო კონცერტს;
- ესწრება შეხვედრა-სადამოებს: კომპოზიტორთან, შემსრულებელთან;
- თანაკლასელებთან ერთად ესწრება საჯარო კონცერტს, სპექტაკლს;
- დადის ექსკურსიებზე ხელოვანთა სახლ-მუზეუმში;
- მონაწილეობს და ადგენს კითხვარს ვიქტორინისთვის;
- წარდგება აუდიტორიის წინაშე შემსრულებლის, შემოქმედის ან კონფერანსიეს როლში;
- ეხმარება უმცროსკლასელებს ზეიმის მუსიკალურ გაფორმებაში.

მუს. VI.9. მოსწავლეს ესმის და შეუძლია წარმოაჩინოს, რომ მუსიკა/ხელოვნება კომუნიკაციის საშუალებაა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აცნობიერებს, რომ მუსიკა მას ეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში;
- აცნობიერებს, რომ მუსიკის ერთობლივი მოსმენა ადამიანებში მსგავს განცდებს ბადებს;
- საუბრობს იმაზე, რომ წინა ეპოქაში შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები/ხელოვნების ნიმუში მისთვის დღესაც გასაგებია;
- იხსენებს მუსიკალურ და ხელოვნების სხვა დარგის ნაწარმოებებს, რომლებშიც მსგავსი იდეებია გამოხატული;
- საუბრობს იმაზე, რომ მუსიკა გამოიყენება კინოში, თეატრში, საინფორმაციო საშუალებებში.

**მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში**

მუს. VI.10. მოსწავლე იცნობს ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილ ნიმუშებსა და წარმომადგენლებს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სხვადასხვა ხერხით გადმოსცემს ცნობილი მუსიკალური ნაწარმოების თემას, რიტმულ სურათს და ამოიცნობს მას მოსმენისას;
- საუბრობს კომპოზიტორების შემოქმედების შესახებ;
- უსმენს და ამოიცნობს ცნობილ მუსიკოს-შემსრულებელს სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით (*ხმის ტემბრით, რეპერტუარის მიხედვით...*);
- მოიძიებს დამატებით ინფორმაციას მისთვის საინტერესო ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ.

მუს. VI.11. მოსწავლეს შეუძლია შეადაროს ერთმანეთს მუსიკალური ნაწარმოებები.

### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნასწავლ ნაწარმოებებს ადარებს ერთმანეთს;
- ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სხვადასხვა ნაწარმოებს და საუბრობს მათ დამახასიათებელ ნიშნებზე (*სავარაუდო შემადგენლობა, სოლო საკრავი*);
- ახასიათებს ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;
- განასხვავებს ხალხური მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს საქართველოს კუთხეების მიხედვით;
- საუბრობს იმის შესახებ, რატომ მოეწონა ესა თუ ის ნაწარმოები.

### მუს. VI.12. მოსწავლე იცნობს სხვადასხვა ტიპის ანსამბლისა და ორკესტრის შემადგენლობას.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასხვავებს და აჯგუფებს საკრავებს ბგერის მიღების წესის, მასალის მიხედვით;
- ხატავს ან ძერწავს საკრავებს, ორკესტრს, შემსრულებლებს;
- განასხვავებს სიმფონიური, კამერული, სასულე, სიმებიანი ორკესტრის შემადგენლობას;
- განიხილავს ანსამბლის სხვადასხვა შემადგენლობას.

### პროგრამის შინაარსი

#### იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიძლიერე, რიტმი (ოსტინატო, სინკოპა, პუნქტირული რიტმი), ტემპი, მეტრი, რეგისტრი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ინტერვალები ოქტავის ფარგლებში, დიატონური სეკვენცია.

#### სიმღერა:

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად, ანსამბლში და გუნდში;
- ერთხმიანი, ორხმიანი და მარტივი სამხმიანი სიმღერები, მაგალითად, *"შინა ვორგილ", "ჩონგური", "ქრისტე აღსდგა", "მრავალჟამიერ" (საგალობელი), "ციცინათელა", ი. გურგულია - "საქანელა", ი. ბობოხიძე - "ფიფქები", ს. ცინცაძე - "ტოროლა", რ. ლალიძე - "სიმღერა თბილისზე", ვ. აზარაშვილი - "დინამო", ჯ. ჰერმანი - "Hello, Dolly", ე. დი კაპუა - "O Sole mio", ლ. რიჩი - "Endless Love" და სხვ.*

#### კომპოზიცია, სპექტაკლი:

- სცენების გათამაშება;
- დასრულებული ფორმით წარდგენა.

### მუსიკალური დამწერლობა:

- ალტერაციის ნიშნების ამოცნობა და გამოყენება;
- მუსიკალური ფრაგმენტის გადაწერა;
- მუსიკალური ჩანაწერის გამოყენება ნაწარმოების დასწავლის, კომპიუტერულ პროგრამებზე მუშაობის, მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს.

### მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონალობა, ტონიკა, მყარი, მერყევი საფეხურები, კვინტური წრე;
- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, ფოლკლორისტი, მუსიკისმცოდნე, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, ლოტბარი, რეგენტი, მესა, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, კორდე-ბალეტი, ბალერინა, ბალეტის მოცეკვავე, ბალეტმასტერი, ადაჯო, პა დე დე, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, ოპერა, არია, არიოზო, რეჩიტატივი, ანსამბლი, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი, ჟანრი;
- ორკესტრი (სიმფონიური, კამერული, სასულე, სიმებიანი), ჯგუფები.

### მუსიკალური ფორმები:

- მარტივი სამნაწილიანი, კუპლეტური, რონდო, ვარიაციული.

### მუსიკის მოსმენა:

- განსხვავებული ეპოქების ცნობილი ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა;
- ქართული ხალხური მუსიკის მოსმენა, ამოცნობა.

### ღონისძიებები:

- სკოლის კონცერტი;
- კლასის სპექტაკლი, კარნავალი, მეჯლისი, შეხვედრა - საღამოები;
- ვიქტორინა;
- საჯარო კონცერტზე, სპექტაკლზე დასწრება;
- ექსკურსია ხელოვანის სახლ-მუზეუმში.

### მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- განწყობილების ამოცნობა, შთაბეჭდილებების გაზიარება, საკუთარ შეხედულებებზე საუბარი;

- ინფორმაცია ნაწარმოების და ავტორის შესახებ – პროგრამა (სიუჟეტი, ლიბრეტო), ეპოქა, სტილი, ჟანრი, ბიოგრაფიული ცნობები;
- ინფორმაცია შემსრულებლების შესახებ.

**სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:**

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "წინწყარო", იმერული "ნადური", მეგრული "ოდოია", რაჭული "ალილო", სვანური "ლილე"; საგალობელი "ქრისტე აღსდგა", ბრაზილიური სიმღერა "გვანტანა მერა"; ვ. დოლიძე - ფრაგმენტები ოპერიდან "ქეთო და კოტე", ნ. გაბუნია - "იგავი" ინსტრუმენტული ანსამბლისა და სოლისტებისათვის (ფრაგმენტები); ი. კეჭავაძე - გუნდი "ლაშარის გზაზე" საგუნდო ციკლიდან "ფშაური ჩანახატები" ა. კალანდაძის ლექსებზე; ვ. აზარაშვილი - "ნოქტიურნი" კამერული ორკესტრისათვის; ი. ს. ბახი - სავიოლინო კონცერტი ლა მინორი; ლ. ბეთჰოვენი - სიმფონია #5, I ნაწილი; თემა და ექვსი ვარიაცია, ფა მაჟორი; ფ. შოპენი - მაზურეკი, თხზ. 33 #2, რე მაჟორი/ თხზ. 24 #2, დო მაჟორი, ვალსი #7 დო დიეზ მინორი; ჟ. ბიზე - უვერტიურა, ტორეადორის კუპლეტები, ბავშვთა გუნდი ოპერიდან "კარმენი"; ჰ. ბერლიოზი - ფრაგმენტები "ფანტასტიკური სიმფონიიდან"; კ. სენ-სანსი - "ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო"; ჯ. ვერდი - კვარტეტი ოპერიდან "რიგოლეტო"; ვ. ა. მოცარტი - პაპაგენოს და პაპაგენას დუეტი, ლამის დედოფლის არია ოპერიდან "ჯადოსნური ფლეიტა", ა. ლერნერი, ფ. ლოუ - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "ჩემი მშვენიერი ლედი" და სხვ.

**თავი L**

**საგნობრივი კომპეტენციები საბაზო საფეხურზე**

**VII კლასი**

**მუსიკა**

**სტანდარტი**

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით**

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
-------------------------	----------------------------	---

<p><b>მუს.VII.1.</b> მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.</p> <p><b>მუს.VII.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.</p> <p><b>მუს.VII.3.</b> მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.</p> <p><b>მუს.VII.4.</b> მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.</p>	<p><b>მუს. VII .5.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.</p> <p><b>მუს.VII.6.</b> მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.</p>	<p><b>მუს.VII.7.</b> მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.</p> <p><b>მუს.VII.8.</b> მოსწავლე აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.</p>
--	--	---

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

**მუს.VII.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის მელოდიურ საქცევს სეკვენციური გადაადგილებით;
- სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას, რიტმულ ფიგურას;
- ნასწავლ ლექსს შეურჩევს მელოდიას;
- შეუწყობს ხმას თანაკლასელის მიერ ნამღერ მელოდიას.

**მუს.VII. 2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის გუნდში ერთხმიან, ორხმიან და მარტივ სამხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს, სიმღერებს;
- არჩევს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხებს მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას;
- ასრულებს მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტებს / სიმღერებს და ეყრდნობა სანოტო ჩანაწერს.

**მუს. VII. 3. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცნობს მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამის სხვადასხვა შესაძლებლობას (*მუსიკის ჩაწერა, ფაქტურის, ტემბრის შერჩევა, რიტმული თანხლება*);
- მოცემული დავალების შესრულებისას იყენებს თეორიულ ცოდნას (*მუსიკის ანბანი, ფორმა, ჰარმონია*).

**მუს. VII.4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მოიძიებს თეორიულ მასალას, ქმნის რესურსს;
- მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის, ტელე/რადიო გადაცემის დადგმაში, ჟურნალის მომზადებაში;
- მონაწილეობს პროექტის წარდგენაში.

**მიმართულება: კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია**

**მუს. VII .5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე;
- განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების ჟანრს (*ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...*), სტილს (*კლასიკური, ხალხური, თანამედროვე*);
- მოსმენის დროს ახასიათებს მუსიკის გამომსახველობით საშუალებებს;
- საუბრის დროს იყენებს მუსიკალურ ტერმინოლოგიას;
- ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებებს მოსმენისას.

**მუს. VII. 6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს მისთვის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს/შემსრულებელს /კომპოზიტორს;



- მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას მუსიკალური ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ;
- აცნობს თანაკლასელებს მოძიებულ ინფორმაციას, საკუთარ შთაბეჭდილებას მუსიკალური ნაწარმოების, ამა თუ იმ მუსიკოსის შესახებ.

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

### მუს. VII.7. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სხვადასხვა ნაწარმოებს, საუბრობს მათ დამახასიათებელ ნიშნებზე (*სავარაუდო შემადგენლობა, სოლო საკრავი...*);
- ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სხვადასხვა ნაწარმოებს;
- ახასიათებს ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს;
- განასხვავებს ხალხური მუსიკის პოპულარულ ნიმუშებს საქართველოს კუთხეების მიხედვით;
- ადარებს სხვადასხვა დიალექტის ერთი და იმავე ჟანრის ხალხურ სიმღერებს;
- საუბრობს იმის შესახებ, რატომ მოეწონა ესა თუ ის ნაწარმოები, იყენებს მუსიკალურ ტერმინოლოგიას.

### მუს. VII.8. მოსწავლე აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს მუსიკის როლზე ადამიანის ცხოვრებაში (*საგალობელი, ნანა, ძწყემის სალამური, მრავალჟამიერი...*);
- აცნობიერებს, რომ მუსიკა ეხმარება მას ადამიანებთან ურთიერთობაში;
- მუსიკის ერთობლივი მოსმენა ადამიანებში მსგავს განცდებს ბადებს;
- საუბრობს იმაზე, რომ წინა ეპოქაში შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები/ხელოვნების ნიმუში მისთვის დღესაც გასაგებია;
- მსჯელობს, რა გაიგო ამა თუ იმ კულტურის შესახებ მისი მუსიკის გაცნობით;
- მსჯელობს, როგორ გამოიყენება მუსიკა სხვა სფეროებში – კინო, თეატრი, საინფორმაციო საშუალებები.

პროგრამის შინაარსი

იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- ტექსტის შეცვლა/შერჩევა მელოდიისათვის;
- მუსიკის შერჩევა პოეტური ტექსტისათვის;
- ხმის შეწყობა.

## სიმღერა:

- კანონის ტიპის მელოდიების შესრულება გუნდში;
- სიმღერა თანხლებით და მის გარეშე;
- ერთხმიანი, ორხმიანი და მარტივი სამხმიანი სიმღერები ქართული და მსოფლიო ხალხური და პროფესიული რეპერტუარიდან, მაგალითად, "სისატურა" (მეგრული), "იმერული მგ ზავრული", "ქრისტე აღდგა მკვდრეთით" (სადა კილო), "Silent Night", კ. სენ-სანსი - "Ave Maria" და ა. შ.

## მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები:

- Print Music, Song Writer, Note Pad, Logic, Cubase;
- დავალებების შესრულება.

## პროექტებში მონაწილეობა:

- თეორიული მასალის მოძიება, რესურსის შექმნა;
- პროექტის მომზადებასა და წარდგენაში მონაწილეობა.

## მუსიკის თეორია და ისტორია:

- მუსიკალური ჟანრები (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...);
- მუსიკალური სტილები (კლასიკური, ხალხური, თანამედროვე);
- მუსიკალური ტერმინოლოგია.

## სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის, XX ს-ის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, გურული "ჩვენ მშვიდობა", "ნადური", ქართლ-კახური "ზამთარია", მეგრული "აბა, ულა", საგალობელი "წმინდა ნინოს ტროპარი", კორსიკული ტრადიციული სიმღერა Letter'a mamma/Paghjella."Tanti passi. . .", აზერბაიჯანული მულამი "Qarabağ Şikastəsi"; ო. თაქთაქიშვილი - ფრაგმენტები ოპერიდან "მინდია", შ. მშველიძე - სიმფონიური პოემა "ზვიადაური", I ნაწ., ბ. კვერნაძე - საორკესტრო "ცეკვა ფანტაზია", გ. ყანჩელი - კინომუსიკა; ი.ს. ბახი - იტალიური კონცერტი, ვ. ა. მოცარტი - "რეკვიემი", ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო სონატა # 8, კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის; ფ. შუბერტი - "დაუმთავრებელი სიმფონია", პ. ჩაიკოვსკი - IV სიმფონია, IV ნაწილი; ჯ. ვერდი - ფრაგმენტები ოპერიდან "ტრავიატა", რ. ვაგნერი - უვერტიურა ოპერისთვის "ტანჰოიზერი", ფ. ლისტ - უნგრული რაფსოდია #2, ნ; ა. დვორჟაკი - კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის; მ. რაველი - "ბოლერო", ჯ. პუჩინი - კალაფის არია ოპერიდან "ტურანდოტი"; ი. ქსენაკისი - "Metastasis"; J. Lacalle - Amapola, H. Ashman/A. Menken - Under The Sea, J.Livingston-

*R.Evans - Mona Lisa, L. Bart - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "Oliver", Michael Jackson - Billy Jean, Metallica - Enter Sandman და სხვ.*

## VIII კლასი

### მუსიკა

#### სტანდარტი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
<p><b>მუს.VIII.1.</b> მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.</p> <p><b>მუს.VIII.2.</b> მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.</p> <p><b>მუს.VIII.3.</b> მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.</p> <p><b>მუს.VIII.4.</b> მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.</p>	<p><b>მუს. VIII .5.</b> მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.</p> <p><b>მუს.VIII.6.</b> მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.</p>	<p><b>მუს.VIII.7.</b> მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.</p> <p><b>მუს.VIII.8.</b> მოსწავლე აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.</p>

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

**მუს.VIII.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის მელოდიურ საქცევს სეკვენციური გადაადგილებით;
- სიმღერით აბოლოებს მასწავლებლის ან თანაკლასელის მიერ დაწყებულ მელოდიას, უპასუხებს მუსიკალურ ფრაზას, რიტმულ ფიგურას;
- ნასწავლ ლექსს შეურჩევს მელოდიას;
- შეუწყობს ხმას თანაკლასელის მიერ ნამღერ მელოდიას.

**მუს.VIII.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მღერის გუნდში ორ- და სამხმიან სიმღერებს ხალხური და კლასიკური რეპერტუარიდან;
- მღერის კანონის ტიპის სავარჯიშოებს, სიმღერებს;
- არჩევს სხვადასხვა გამომსახველობით ხერხს მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას;
- ასრულებს მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტებს / სიმღერებს და ეყრდნობა სანოტო ჩანაწერს.

**მუს.VIII.3. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა დავალების შესრულება მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იცნობს მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების სხვადასხვა შესაძლებლობას (*მუსიკის ჩაწერა, ფაქტურის, ტემპრის შერჩევა, რიტმული და აკორდული თანხლება*);
- მოცემული დავალების შესრულებისას იყენებს თეორიულ ცოდნას (*მუსიკის ანბანი, ფორმა, ჰარმონია*);
- ქმნის მარტივ მუსიკალურ კომპოზიციებს.

**მუს.VIII.4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს პროექტის მიზნის განსაზღვრასა და დაგეგმვაში;
- მოიძიებს თეორიულ მასალას, ქმნის რესურსს;
- მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის, ტელე/რადიო გადაცემის დადგმაში, ჟურნალის მომზადებაში;
- მონაწილეობს პროექტის წარდგენასა და შეფასებაში.

**მუს. VIII.5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე;
- განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების ჟანრს (*ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...*), სტილს (*კლასიკური, ხალხური, თანამედროვე*);
- მოსმენის დროს ახასიათებს მუსიკის გამომსახველობით საშუალებებს;
- ახასიათებს შემსრულებელთა შემადგენლობას: ინსტრუმენტული (დიდი და კამერული ორკესტრი, კამერული ანსამბლი), ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული (დიდი და კამერული შემადგენლობა);
- საუბრის დროს იყენებს სახელოვნებო/ მუსიკალურ ტერმინოლოგიას;
- ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებებს მოსმენისას.

**მუს. VIII.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს მისთვის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს / შემსრულებელს / კომპოზიტორს;
- მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას მუსიკალური ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ;
- წარადგენს მოძიებულ ინფორმაციას, საკუთარ შთაბეჭდილებას მუსიკალური ნაწარმოების, ამა თუ იმ მუსიკოსის შესახებ;
- მოიძიებს მუსიკალურ (*აუდიო-ვიდეო*) მასალას, საჭირო აპარატურას და იყენებს მას პრეზენტაციის დროს.

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

**მუს. VIII.7. მოსწავლე იცნობს და შეუძლია ქართული და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ცნობილი ნიმუშების დახასიათება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს ერთი და იმავე ჟანრის სხვადასხვა ნაწარმოებს და საუბრობს მათ დამახასიათებელ ნიშნებზე;
- ადარებს სხვადასხვა დიალექტის ერთი და იმავე ჟანრის ხალხურ სიმღერებს;
- ადარებს ერთმანეთს ერთი და იმავე ავტორის / ეპოქის ნაწარმოებებს (*დამახასიათებელი ჟანრები, სტილი, თემატიკა, ხელწერა...*);
- ახასიათებს ნაცნობ მუსიკალურ ფორმებს და ადარებს ამ ფორმით დაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებებს;
- უპასუხებს ცნობილი კომპოზიტორის, შემსრულებლის ბიოგრაფიასთან, შემოქმედებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

## მუს. VIII.8. მოსწავლეს აღიქვამს მუსიკას, როგორც ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს მუსიკალურ სტილებს კულტურისა და ეპოქის მიხედვით;
- მსჯელობს, რა გაიგო ამა თუ იმ კულტურისა და ეპოქის შესახებ კონკრეტული მუსიკალური ნაწარმოების გაცნობით;
- საუბრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება კონკრეტული მუსიკალური განწყობილების, კომპოზიტორის ჩანაფიქრის გამოხატვა მუსიკალური გამომსახველობის სხვადასხვა ხერხის საშუალებით;
- განიხილავს მუსიკის როლს ხელოვნების სხვა დარგებისთვის.

პროგრამის შინაარსი

იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- მელოდური საქცევის სეკვენციური გადაადგილება;
- ნასწავლი ლექსისთვის მელოდის შერჩევა;
- ხმის შეწყობა.

სიმღერა:

- კანონის ტიპის მელოდების შესრულება გუნდში;
- სიმღერა თანხლებით და მის გარეშე;
- ორხმიანი და სამხმიანი სიმღერები ქართული და მსოფლიო ხალხური და პროფესიული რეპერტუარიდან, მაგალითად, "დიდი ხნიდან გაგიცანი" (გურული), "ქართველო, ხელი ხმაღს იკარ" (ქართლ-კახური), "წმიდაო ღმერთო" (სადა კილო), ვ. ა. მოცარტი - "Die Nachtigall", the Beatles - "Can't Buy Me Love" და ა. შ.

მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები:

- Logic, Cubase, Finale;
- დავალებების შესრულება;
- მარტივი კომპოზიციების შექმნა.

პროექტებში მონაწილეობა:

- თეორიული მასალის მოძიება, რესურსის შექმნა;
- პროექტის მომზადებაში, წარდგენასა და შეფასებაში მონაწილეობა.

მუსიკის თეორია და ისტორია:

- მუსიკალური ჟანრები (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ინსტრუმენტული კონცერტი...);
- მუსიკალური სტილები (კლასიკური, ხალხური, თანამედროვე);
- შემსრულებელთა შემადგენლობა: ინსტრუმენტული (დიდი და კამერული ორკესტრი, კამერული ანსამბლი), ვოკალური, ვოკალურ-ინსტრუმენტული (დიდი და კამერული შემადგენლობა);
- მუსიკალური/ სახელოვნებო ტერმინოლოგია.

**სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:**

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის, XX საუკუნისა და ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, აჭარული ოთხხმიანი ნადური, მეგრული "კუჩხი ბედინერი", კახური "ჭონა", საგალობელი "შენ ხარ ვენახი" (ფალიაშვილის ვარიანტი); სარდინიული მრავალხმიანი სიმღერა *Actores Alidos – Chelu e mare/Tralallera*, ინდური რაგა "Harikambhoji"; ა. მაჭავარიანი - სავიოლინო კონცერტი, ს. ნასიძე - სიმფონია "ფიროსმანი" (ფრაგმენტები), მ. შულღიაშვილი - "ეგზერსისი" ფორტეპიანოსთვის; გ. ფ. ჰენდელი - გუნდი "Alleluia" ორატორიიდან "მესია", ფ. შოპენი - ბალადა #1, ჯ. ვერდი - ფრაგმენტები ოპერიდან "აიდა", "რეკვიემი" (ფრაგმენტები), რ. ვაგნერი - "ვალკირიების გაფრენა", ტეტრალიგია "ნიბელუნგების ბეჭედი", ოპერიდან "ვალკირია"; პ. ჩაიკოვსკი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის # 1; ფ. მენდელსონი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის; კ. დებიუსი - პრელუდია "პეკის ცეკვა", საფორტეპიანო პიესა "მთვარის შუქი"; ი. სტრავინსკი - "რუსული ცეკვა" ბალეტიდან "პეტრუშკა" (საფორტეპიანო ვერსია); ა. შონბერგი - კამერული სიმფონია, დ. შოსტაკოვიჩი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის # 1; ჯ. კეიჯი - "წყლის თამაში"; ფ. სინატრა - "New York, New York", A. Barozzo - "Brazil", The Beatles - "Can't buy my Love", J. Styne - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "Funny Girl", Sting - "Shape Of My Heart", Motley Crue - "Home sweet home" და სხვ.

**IX კლასი**

**მუსიკა**

**სტანდარტი**

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით**

პრაქტიკული უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია	მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში
მუს. IX.1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.	მუს. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.	მუს. IX.8. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული და

<p>მუს. IX.2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.</p> <p>მუს. IX.3. მოსწავლეს შეუძლია კომპოზიციების შექმნა მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.</p> <p>მუს. IX.4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.</p>	<p>მუს. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.</p> <p>მუს. IX.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების განხილვა.</p>	<p>სახეობრივი მხარეების დახასიათება.</p> <p>მუს. IX.9. მოსწავლე აცნობიერებს მუსიკის როლს საზოგადოების ცხოვრებაში.</p>
--	---	---

**წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები**

მიმართულება: პრაქტიკული უნარ-ჩვევები

**მუს. IX. 1. მოსწავლეს შეუძლია იმპროვიზაციის პროცესში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სიმღერით და დაკვრით უხამებს სხვადასხვა მელოდიურ ხმებს, რიტმულ ფიგურებს თანაკლასელის მიერ შესრულებულ რიტმულ ფიგურას, მარტივ აკორდულ თანმიმდევრობას;
- თანაკლასელებთან ერთად ქმნის მუსიკალურ-დრამატულ ეტიუდებს, კომპოზიციებს ხმის, ინსტრუმენტის, მოძრაობის საშუალებით.

**მუს. IX. 2. მოსწავლეს შეუძლია სიმღერა თანაკლასელებთან ერთად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასრულებს ორხმიან და სამხმიან ქართულ ხალხურ და სხვა ხალხთა სიმღერებს;
- ასრულებს მუსიკალური ნაწარმოებების ფრაგმენტებს / სიმღერებს და ეყრდნობა სანოტო ჩანაწერს.



**მუს. IX. 3. მოსწავლეს შეუძლია კომპოზიციების შექმნა მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დასახული მიზნის შესაბამისად იყენებს კომპიუტერულ პროგრამებს (*მუსიკის ჩაწერა, ფაქტურის, ტემბრის შერჩევა, აკორდული თანხლება*);
- იყენებს თეორიულ ცოდნას (*მუსიკის ანბანის, მუსიკალური ფორმის, ჰარმონიის საკითხები*) კომპოზიციის შექმნის დროს;
- ქმნის მუსიკალურ კომპოზიციებს;
- მუსიკალურ კომპოზიციაში ასახავს მხატვრული ლიტერატურის, სახვითი და თეატრალური ხელოვნების ნიმუშებით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს.

**მუს. IX. 4. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროექტში მონაწილეობა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს პროექტის მიზანს;
- გეგმავს პროექტს და ანაწილებს ფუნქციებს;
- მოიძიებს თეორიულ მასალას, ქმნის რესურსს;
- მონაწილეობს კონცერტის, წარმოდგენის, ტელე/რადიო გადაცემის დადგმაში, ჟურნალის მომზადებაში;
- მონაწილეობს პროექტის წარდგენასა და შეფასებაში.

**მიმართულება: კომუნიკაცია, ინტერპრეტაცია**

**მუს. IX. 5. მოსწავლეს შეუძლია მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების მოსმენით გამოწვეულ შთაბეჭდილებაზე;
- ახასიათებს მუსიკალურ ნაწარმოებს ფორმის, ჟანრის, სტილის და მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების მიხედვით;
- საუბრობს დროს იყენებს სახელოვნებო/ მუსიკალურ ტერმინოლოგიას;
- ამოიცნობს მუსიკალურ ნაწარმოებებს მოსმენისას.

**მუს. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია გააცნოს თანაკლასელებს მუსიკალური ხელოვნების ნიმუში ან მუსიკოსის შემოქმედება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- შეარჩევს მისთვის საინტერესო მუსიკალურ ნაწარმოებს / შემსრულებელს / კომპოზიტორს;
- მოიძიებს და ამუშავებს ინფორმაციას მუსიკალური ნაწარმოების, კომპოზიტორის, შემსრულებლის შესახებ;
- მოხსენების / სტატიის სახით წარმოადგენს მოძიებულ ინფორმაციას, საკუთარ შთაბეჭდილებას მუსიკალური ნაწარმოების, ამა თუ იმ მუსიკოსის შესახებ;

- მოიძიებს მუსიკალურ (*აუდიო-ვიდეო*) მასალას, საჭირო აპარატურას და იყენებს მას პრეზენტაციის დროს;
- წარმართავს დისკუსიას, სვამს და უპასუხებს კითხვებს;
- ავრცელებს მოძიებულ მასალას; ქმნის არქივს სხვებთან ერთად.

#### მუს. IX.7. მოსწავლეს შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების განხილვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს გაკვეთილზე შესრულებული შემოქმედებითი დავალების, საჯარო, სკოლის კონცერტის განხილვაში;
- წერს რეცენზიას საჯარო, სკოლის კონცერტზე;
- კორექტულია აზრის გამოთქმის დროს.

მიმართულება: მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში

#### მუს. IX.8. მოსწავლეს შეუძლია მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურული და სახეობრივი მხარეების დახასიათება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნასწავლ ნაწარმოებებს ადარებს ერთმანეთს – ჟანრი, სტილი, ეპოქა, ავტორი;
- ნაწარმოებების შედარების საფუძველზე განასხვავებს ავტორის ხელწერას;
- ადარებს სხვადასხვა შესრულებას და საუბრობს "ინტერპრეტაციაზე";
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების სახეობრივ შინაარსზე (*ლირიკული, დრამატული, ეპიკური, გმირულ-დრამატული, სკერცოზული, გროტესკული და ა.შ.*);
- საუბრობს მუსიკალური ნაწარმოების კომპოზიციურ აგებულებაზე;
- მსჯელობს ხალხური სიმღერის მახასიათებლებზე (*დიალექტი, ჟანრი, თემატიკა, შემსრულებელთა შემადგენლობა*).

#### მუს. IX.9. მოსწავლე აცნობიერებს მუსიკის როლს საზოგადოების ცხოვრებაში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს სტილებს კულტურისა და ეპოქის მიხედვით;
- საუბრობს ხალხური მუსიკის სოციალურ დანიშნულებაზე (*ყოფასთან კავშირი, კოლექტიური შემსრულებლობა, ზეპირი გადაცემის ტრადიცია, ანონიმურობა, მუდმივი ცვალებადობა*);
- აცნობიერებს პროფესიული მუსიკის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: კომპოზიტორი, შემსრულებელი, მსმენელი;
- მსჯელობს მუსიკის როლზე ხელოვნების სხვა დარგებში;
- ადარებს მუსიკასთან დაკავშირებულ ტრადიციულ და თანამედროვე პროფესიებს – პროდიუსერი, რეჟისორი, დიჯეი, ხმის ოპერატორი;

- ახასიათებს თანამედროვე ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს და მათ ზეგავლენას მუსიკალურ ხელოვნებაზე;
- განმარტავს, როგორ შეუძლია გამოიყენოს მუსიკის შესწავლით მიღებული ცოდნა და უნარები სხვადასხვა პროფესიაში;
- იკვლევს მუსიკის გავრცელების/გადაცემის საშუალებებს (*მომღერალთა ოჯახები, მაგალობელთა სკოლები... სანოტო დამწერლობის სხვადასხვა სისტემები, მაგალითად, ქართული ნევმური დამწერლობა...*) სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში;
- მსჯელობს საზოგადოების ცხოვრებაში მუსიკის როლის შესახებ კონკრეტული ნიმუშების მაგალითზე (*ჰიმნის როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის; დ. შოსტაკოვიჩის VII სიმფონია ლენინგრადის ბლოკადის დროს; "მარსელიეზა" საფრანგეთის რევოლუციის დროს; "შავლეგო", "ჩემო კარგო ქვეყანავ" 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის დროს...*).

## პროგრამის შინაარსი

იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- ტექსტის შეცვლა, შერჩევა მელოდიისათვის;
- მუსიკის შერჩევა პოეტური ტექსტისათვის;
- ხმის შეწყობა.

სიმღერა:

- კანონის ტიპის მელოდიების შესრულება გუნდში;
- სიმღერა თანხლებით და მის გარეშე;
- ორხმიანი და სამხმიანი სიმღერების შესრულება გუნდში;
- რეპერტუარის შერჩევა;
- გამომსახველობითი ხერხების შერჩევა;
- ორხმიანი და სამხმიანი სიმღერები ქართული და მსოფლიო ხალხური და პროფესიული რეპერტუარიდან, *მაგალითად, "ასლანური მრავალჟამიერი" (რაჭული), "ნანილა" (სვანური), "შენ ხარ ვენახი", L. Guglielmi – "La Vie en Rose", ფ. ლისტის - "Christus ist geboren" და ა. შ.*

მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები:

- Sibelius, Finale, Cubase, Logic;
- დავალებების შესრულება;
- კომპოზიციის შექმნა.

მუსიკალური ნაწარმოებები:

- ფრაგმენტები სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორთა ცნობილი ნაწარმოებებიდან;
- ქართული ხალხური და პროფესიული ნაწარმოებების მოსმენა, ამოცნობა.

### პროექტებში მონაწილეობა:

- პროექტის დაგეგმვა და ანალიზი;
- პროექტის მომზადება, წარდგენა.

### მუსიკის თეორია და ისტორია:

- ჟანრი, სტილი, ეპოქა;
- მხატვრული მუსიკალური მიმართულებების თვალსაჩინო წარმომადგენლები;
- მუსიკალური ნაწარმოების სახეობრივი შინაარსი (ლირიკული, დრამატული, ეპიკური, გმირულ-დრამატული, სკერცოზული, გროტესკული და ა.შ.);
- მუსიკალური ნაწარმოების კომპოზიცია: ინსტრუმენტული ფორმები (სამნაწილიანი, რონდო, ვარიაციები, სონატური, სუიტა, სონატურ-სიმფონიური ციკლი); ვოკალური ფორმები (კუპლეტური, გამჭოლი ფორმები).

### ხალხური მუსიკა:

- დიალექტი, ჟანრი, თემატიკა, შემსრულებელთა შემადგენლობა;
- ხალხური მუსიკის სოციალური დანიშნულება (ყოფასთან კავშირი, კოლექტიური შემსრულებლობა, ზეპირი გადაცემის ტრადიცია, ანონიმურობა, მუდმივი ცვალებადობა).

### სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის, იმპრესიონიზმის, XX საუკუნისა და ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "შემოქმედური ნადური", გრძელი კახური მრავალჟამიერი, რაჭული "მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი", საგალობელი "წმიდაო ღმერთო" (ზ. ფალიაშვილის ვარიანტი), აფრიკული მრავალხმიანობის ნიმუში "Yangissa"/"Banga Banga"/"Bobangi", ავსტრალიური ხალხური სიმღერა "Mum's Choice"; ბ. კვერნაძე - სიმღერები, კინომუსიკა, გ. ყანჩელი - ვოკალურ-სიმფონიური სუიტა "სტიესი" (ფრაგმენტები); ლ. ბეთჰოვენი - საფორტეპიანო კონცერტი #5, რ. შტრაუსი - სიმფონიური პოემა "დონ ჯოვანი" (ფრაგმენტები), ლ. ბეთჰოვენი - IX სიმფონია (ფრაგმენტები); პ. ჩაიკოვსკი - ფრაგმენტები ოპ. "პიკის ქალი", გ. მაღერი - V სიმფონია, IV ნაწილი - Adagietto; კ. ორფი - "კარმინა ბურანა" (ფრაგმენტები), ბ. ბარტოკი - მუსიკა სიმებიანების, დასარტყამი საკრავებისა და ჩელესტასთვის; დ. შოსტაკოვიჩი - სიმებიანი კვარტეტი #3, III ნაწილი, V სიმფონია, I ნაწილი; დ. ბრუბეკი - ჯაზური კომპოზიცია "Take Five", G. Weiss-B. Thiele - "What a Wonderful World", J. Herman's Show - "Hello Dolly", G. Gershwin - "Porgy and Bess" (ფრაგმენტები), L. Weber "Super Star" (ფრაგმენტები), A. Cooper - School's Out for this summer და სხვ.